58/ვ 4067
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | 4 გვ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 179 (1034) შაბათი 9 აგვისტო 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 179 (1034)

დღიური

— საბჭოთა მთავრობამ მექსიკაში დანიშნა თავისი წარმომადგენელი.
— სამხრეთ-სლავია ახლო ხანში იცნობს საბჭოთა მთავრობას.
— პრაგაში (ჩეხო-სლოვაკია) გაიხსნა სამთო-მადნო მუშათა საერთაშორისო კონგრესი.
— ზემო-სილეზიაში გაფიცვა გრძელდება.
— ჰამბურგში (გერმანია) გაიხსნა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესი.
— ოსმალეთმა დაამტკიცა ლოზანის ხელშეკრულება.
— შვეიცარიის მთავრობამ დააპატიმრა ფრანგი და გერმანელი კომუნისტი.
— წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა ჩინეთს.

წერილები სოფლის შესახებ

II *)

კულტურული მუშაობა სოფლად

სწავლა-განათლების საქმეში საბჭოთა ხელისუფლების დროს რომ ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, ეს ყველასათვის თვალსაჩინო და უდავოა. სკოლების ძირითადი რეორგანიზაცია და მათი შეფარდება ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებთან, სკოლების, მოწაფეთა და მასწავლებელთა რიცხვის საგრძნობლად გადიდება, სასკოლო შენობების შეკეთება,— ყველაფერ ამაში გვაქვს დიდი მიღწევები, ძველ დროსთან შედარებით.

რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ შორსა ვართ სასურველი მდგომარეობიდან ამ სფეროში. სკოლის გარეშე ჯერ კიდევ ბლომად არიან დარჩენილი სასკოლო ჰასაკის ბავშვები: სახელმძღვანელოებსა და სხვა სასწავლო ნივთებსაც ვერ ვაწოდებთ სკოლებს საჭირო რაოდენობათ და იაფ ფასებში; სკოლებიც ბევრ ალაგას მოუწყობელია და შეუკეთებელი; მასწავლებელია დიდი ნაწილიც არ არის სათანადო მომზადებული; განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობაც სულ ბოლო დრომდე მძიმე იყო.

მუშურ-გლეხური მთავრობა ზრუნავს ამ ნაკლულევანებათა ასაცილებლად. მაგრამ დასახული მიზანი მხოლოდ თანდათანობით იქნება მიღწეული. ამისათვის საჭიროა დრო და ქვეყნის მეურნეობის შემდეგი აღორძინება.

მაგრამ დღეს, როცა ვლაპარაკობთ სოფლად კულტურული მუშაობის შესახებ, მხედველობაში არ გვაქვს სასკოლო-სამოსწავლო საქმის მდგომარეობა პროვინციაში.

ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობენ გლეხობის შორის კულტურული მუშაობის სხვა მხარეები.

პირველ ყოვლისა მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. სტატისტიკური ცნობებით, სოფლის მცხოვრებლებზე მოდის წერა-კითხვის უცოდინარი 18—40 წლამდე—331. 244 კაცი, ე. ი. ამა წლოვანების წერა-კითხვის მცოდნეებთან შედარებით—60,9 პროც.

ჩვენ ვიცით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დამკვირელ ამოცანადაა გამოცხადებული. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენში ბოლო დრომდე ამ მხრივ ბევრი რამ არ გაკეთებულა. რესპუბლიკის მასშტაბით დაწვრილებით გამომუშავებული გეგმაც არ გვქონია. პოლიტგანათლების მმართველობამ ასეთი გეგმა მხოლოდ ეხლა შეადგინა. წინედ აქა-იქ არსებული სალიკვიდაციო პუნქტები არ იყვნენ შესაფერისად მოწყობილი, მეცადინეობაც ვერ მიმდინარეობდა სისტემატიურად.

ნივთიერი ხელმოკლეობა და სხვა მრავალი დაბრკოლება ხელს გვიშლიდა ეს საქმე ფართედ და რიგიანად დაგვეყენებია.

დღეს კი მასში, გარდა სახელმწიფოსი, ებმება თვით მოსახლეობა. ეწყობიან წ. კ. უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოებანი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ პროვინციაში ასეთი საზოგადოებები ბევრ ალაგას სულ არ არსებობენ, ან თუ არიან, არ იჩენენ მუშაობის საკმაო უნარს. პროვინცია, გლეხობა კიდეც არ გამოსულა აქტიურად წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ფრონტზე. უამისოდ კი ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწევთ. საჭიროა რესპუბლიკის რაიონები და თემები მოიფინოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ უჯრედებით. მხოლოდ ამ გზით შეიქმნება ამისათვის მატერიალური ფონდი და გაცხოველდება გლეხობის ინტერესი ამ საქმისადმი. წერა-კითხვის მებრძოლ საზოგადოების რესპუბლიკანურ გამგეობას, ადგილობრივ პარტიულ და სხვა ორგანიზაციებს მმართებთ ამ მხრივ კამპანიის გაჩაღება.

შემდეგ: დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სალიკვიდაციო პუნქტების მოწყობის საქმეს. გლეხობა გაბნეულად ცხოვრობს. მისი თავმოყრა და სისტემატიურად დასწრება კურსებზე ადვილი საქმე არ არის. უნდა შეურჩიოთ ისეთი სეზონი, როცა გლეხობა უფრო თავისუფალია, და პუნქტებიც გაიხსნას ისეთ ალაგას, სადაც გლეხობის მეტ რიცხვს გაუადვილდება სიარული.

კურსებზე მასწავლებლებად იქნებიან უმთავრესად სოფლის სკოლათა მასწავლებელნი. მათ ამ შრომისათვის აუცილებლად უნდა მიეცეთ გასამრჯელო.

გლეხობის კულტურულ გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად კლუბების და თეატრების მუშაობის გამოცოცხლებას. ასეთები ბევრგანაა გახსნილი, მაგრამ მომზადებული ძალები არ მოიპოვებიან გონიერ გასართობების მოსაწყობად; არც პიესები აქვთ შესაფერისი. საჭიროა მსახიობთა მომზადება თვით გლეხებისაგან, სპეციალური რეპერტუარის შედგენა სოფლის თეატრებისათვის. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს წარმოდგენების დროს დისციპლინის და წესრიგის დაცვას. დღეს კი ხშირად შეხვდებით მთვრალ და აყალ-მაყალის გუნებაზე მდგარ ვაჟბატონებს, რომელნიც ხელს უშლიან წარმოდგენების, საღამოების ნორმალურ მსვლელობას.

ყველაფერი ეს ცუდად მოქმედებს გლეხობაზე და უკარგავს მას კლუბებსა და თეატრებში სიარულის ხალისს.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს გლეხობისათვის სამკითხველოების რიგიანად მოწყობას. დღეს ბევრგან საკმაო გაზეთები და თანამედროვე პოპულიარული ლიტერატურა არ მოიპოვება. გაზეთები სამკითხველოდან ხშირად მიაქვთ სახლში კერძო პირებს. სამკითხველო არა იშვიათად მიკეტილია. არ წარმოებს გაზეთის ხმამაღლა კითხვა და განმარტება. ისე კი სამკითხველოთი და გაზეთით სარგებლობა მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს თუ შეუძლია.

ამ საკითხის მოგვარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

გვინდა კერძოთ შევჩერდეთ სოფლად ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლაზე.

ჩვენს გაზეთში თავის დროზე ერთ-ერთ სოფლიდან კორესპონდენცია იყო მოთავსებული, რომ ერთ გლეხს შვილი გარდაეცვალა. მას რატომღაც აზრად მოუვიდა, და მეზობლებმაც დაარწმუნეს, რომ მისი შვილის სიკვდილის მიზეზი ვითომ იყო იმავე სოფლის „კუდიანი“ დედაკაცი. შემოიტყუა ეს უკანასკნელი შინ და გახურებული შამფურით დადაღა, რაც, ცრუმორწმუნე გლეხის შეხედულებით, საშუალებას წაართმევდა ამ დედაკაცს შემდეგში განემეორებია მსგავსი „ბოროტმოქმედება“.

ჩვენ წინ არის მეორე კორესპონდენცია, დაბა ჩხარიდან (შორ. მაზ.), რომელშიაც მოთხრობილია, რომ სოფ. მუხურაში მცხოვრებ გლეხს ბავშვი გახდომია ავად. მისი მორჩენა უკისრია იმავე სოფლის „მკითხავ“ დედაკაცს. „მკითხავს“ ვითომ აღმოუჩენია ოთხი „ჯადო“ ხსენებულ გლეხის სახლის საძირკვლის ქვეშ, საბძლის ქვეშ, ვენახში და ყანაში. „მკითხავი“ ქალის რჩევით, ვითომდა ავადმყოფის გასანკურნებლად, გლეხს დაუკლავს ხარი; მკითხავი კიდევ ურჩევდა ვენახის აჭრას, მაგრამ მეზობლებს ნება არ მიუციათ ეს „რჩევა“ სისრულეში მოეყვანა ავადმყოფ ბავშვის მამას.

ეს ამბავი მომხდარა, როგორც ავღნიშნეთ, ჩხარის რაიონში, რომელიც გლეხობის კულტურული დონის მხრივ არ ითვლება უკანასკნელად.

რამდენიმე ასეთი ამბები ხდება პროვინციაში. გლეხობის საგრძნობი ნაწილი ისევ იხრჩობა ცრუმორწმუნეობათა მორევში. „მკითხავებს“ ისევ დიდი გასავალი აქვთ სოფლის უმეცარ მოსახლეობის შორის. ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა ძალიან სუსტად წარმოებს.

სოფლის კულტურულ ძალებს მმართებთ ამ მხრივ ფართე მუშაობის გაწევა, მეცნიერული ცოდნის გავრცელება მასსაში, პოპულიარულ საუბრების გამართვა ბუნების სხვადასხვა მოვლენებზე.

ვინ არიან ეს კულტურული ძალები?—პირველ ყოვლისა მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი. ისინი სავსებით უნდა იქნან ამ საქმეში ჩაბმულნი.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობის შემდეგი პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. დღევანდელი გლეხი ამ მხრივ უკვე არ არის ისეთი, როგორიც იყო რამდენიმე წლის წინად. ბევრი რამ წინედ მისთვის ბურუსით მოცული დღეს გამოირკვა. ბევრ საზოგადოებრივ მოვლენაზე შეიმუშავა ასე თუ ისე სწორი შეხედულება. მაგრამ ბევრ რამეში ის დღესაც ვერ ერკვევა. საჭიროა გლეხობას სისტემატიურად განემარტოს არსებული წყობილების შინაარსი, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი და მიმდინარე პოლიტიკური ამბები.

ამას კერძოდ ხელს შეუწყობს მასწავლებელთა ეხლა მიმდინარე გადამზადება, სადაც პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხების გაშუქებას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი.

აქ შეძენილი ცოდნა მასწავლებლებმა უნდა გაუზიარონ გლეხობას.

გლეხობის კულტურული დონის ასამაღლებლად უნდა გამოყენებულ იქნას ყოველი შემთხვევა და ადგილი—კერძო საუბარი, კრება, მიტინგი, კლუბი, სამკითხველო, წ.-კ. უ. სალ. პუნქტი და სხ.

ჩვენმა პარტორგანიზაციებმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხობის კულტურულ გათვითცნობიერებას, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. ამ სფეროში მუშაობას უნდა მიეცეს სისტემატიური და გეგმაშეწონილი ხასიათი.

ბ. ქ.

---

*) „კომუნისტი“ № 177

შრომის ბირჟების საფუძვლიანი რეორგანიზაცია

ამ ჟამად ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებში და ჩვენშიაც ხდება შრომის ბირჟების რეორგანიზაცია. ეს რეორგანიზაცია გამოიწვია მან, რომ შრომის ბირჟების მუშაობის არსებული მეთოდები ვერ აკმაყოფილებდა ვერც სამეურნეო ორგანოებს, ვერც თვით უმუშევრებს. ახალი წესებით კი შრომის ბირჟების მუშაობა საღ ნიადაგზე დადგება. რეორგანიზაციის უმთავრესი მომენტები გამოიხატება შემდეგში:

ეძლევა უფლება ყველა დამქირავებელს ამორჩიოს შრომის ბირჟაში ჩაწერილი უმუშევარი. ამორჩევის უფლება არაფრით არ ისაზღვრება. დამქირავებელი ირჩევს უმუშევარს იმისდამიუხედავად, დიდი ხნის ჩაწერილია თუ არა უმუშევარი ბირჟაში და აქვს მუშაობის დიდი სტაჟი თუ არა. ამორჩევა ხდება ბირჟაში ჩაწერილ ყველა უმუშევრებიდან იმის განურჩევლად, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის უმუშევარი, პირველ თუ მეორე კატეგორიას.*)

დამქირავებელს შეუძლია მუდმივ სამუშაოსათვის დაიქირაოს კვალიფიციური მუშები შრომის ბირჟის გარეშეც ბირჟაში შემდეგი რეგისტრაციაში გატარების წესით შრომის ბირჟის. გარეშე დაქირავება ვრცელდება იმ მუშებზე, რომელნიც თავის კვალიფიკაციით შეიძლება მიკუთვნებული იქნან მეექვსე კატეგორიის ზევითა ხარისხზე. კატეგორიაზე მიკუთვნება მტკიცდება უკანასკნელ სამუშაოზე მიცემულ საანგარიშო წიგნაკით, ან სხვა დოკუმენტებით.

დროებით სამუშაოებზე, არა უმეტეს ორი კვირისა, მუშების დაქირავება შეიძლება შრომის ბირჟის გარეშეც. ამ შემთხვევაში დაქირავება ხდება დამქირავებელის მიერ და არ არის საჭირო დროებით სამუშაოზე მიწვეულ მუშების შესახებ ეცნობოს შრომის ბირჟას, ესე იგი, დროებითი დაქირავება ხდება ბირჟაში შემდეგი რეგისტრაციაში გაუტარებლად.

ისპობა უმუშევრებისათვის მოწმობის მიცემა. აქამდი ყველა უმუშევარს ეძლეოდა შრომის ბირჟიდან უმუშევრის მოწმობა. ამას ჰქონდა უარყოფითი შედეგები, ვინაიდან ბევრი შრომის ბირჟაში ეწერებოდა უმუშევრის მოწმობის მისაღებად და მისი საშუალებით ცდილობდა მიეღო სხვა და სხვა შეღავათები. ამიერიდან უმუშევრებს არ მიეცემათ არც მოწმობა და არც რაიმე სხვა დოკუმენტი, რომლითაც შეიძლებოდეს ბირჟაში ჩაწერის დადასტურება. უმუშევარს შრომის ბირჟა მისცემს მხოლოდ სიტყვიერ ცნობას, თუ რომელი ნომრით ჩაიწერა ის ბირჟაში. ეს განტვირთავს შრომის ბირჟას ბევრ არაპროლეტარულ ელემენტებისაგან.

ბირჟებს ჩამოეცლებათ ყოველგვარი შეღავათის გაცემის უფლებები. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქის აღმასკომები და გადასახადის დამწესებელი ორგანოები შეღავათს მისცემენ არა იმის მიხედვით, რომ ესა თუ ის პირი ბირჟაშია ჩაწერილი არამედ მისი მატერიალური მდგომარეობის გამოკვლევით. ამ გამოკვლევას აწარმოებენ თვით ზემოთხსენებული ორგანოები და არა შრომის ბირჟა.

შრომის ბირჟაში ამა თუ იმ პირის ყოფნა არ იქნება მიღებული, როგორც ამ პირების ცუდ მდგომარეობაში ყოფნის დამამტკიცებელი საბუთი.

ჩატარდება შრომის ბირჟაში ჩაწერილთა წმენდა. შრომის ბირჟებიდან მოიხსნება შემდეგი პირები: ა) ვისაც არასოდეს არ უმუშავნია დაქირავებით, ბ) შავი მუშები, რომელთაც უმუშავნიათ დაქირავებით 5 წელზე ნაკლები, გ) ყველა საბჭოთა მოსამსახურე და კანტორის მოხელე, რომელთაც უმუშავნიათ 5 წელზე ნაკლები; დ) საწარმოო და კვალიფიციური მუშები, რომელთაც უმუშავნიათ დაქირავებით 3 წელზე ნაკლები; ე) მცირე წლოვანები, რომელთაც არ გაუთავებიათ საქარხნო-სახელოსნო სკოლები.

შემდეგში შრომის ბირჟა აწარმოებს ჩაწერას ქვემოთ ხსენებულ კატეგორიების მხოლოდ უმუშევრებისას: ა) პროფესიონალურ კავშირების წევრების, გამოუკლებლივ, ბ) საწარმოო და კვალიფიციონურ მუშების, რომელთაც აქვთ დაქირავებით მუშაობის არა ნაკლები სამი წლის სტაჟი; დ) საბჭოთა მოსამსახურეების, რომელთაც აქვთ დაქირავებითი მუშაობის სტაჟი 5 წელზე არა ნაკლები; გ) შავ მუშების 5 წლის სტაჟით და ე) სპეციალურ სასწავლებლების და საქარხნო სკოლებდამთავრებულთა.

ტომელი.

---

*) პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ეგრეთ წოდებული „ნამდვილი უმუშევრები“, მეორე კატეგორიას კი შრომის მაძიებელნი.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

დიდი ოქტომბრის გადატრიალებამ სხვა მრავალ ძვირფას ლოზუნგთა შორის გადაისროლა ერთი დიადი ლოზუნგი: ძირს უცოდინარობა, სიბნელე, უვიცობა, ცოდნა ძალაა, მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, ეს იქნება ერთი უტყუარი და ურყევი საფუძველთაგანი რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. ცხადია, რომ უსწავლელი და უვიცი მასსა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მონობის მძიმე უღელ ქვეშ სულს ღაფავდა, ვერ ააშენებს იმ ნანატრ სამყაროს, რომლისაკენ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ბელადმა ლენინმა დასძრა მშრომელი კაცობრიობა. ლენინი ამბობდა: რათაც არ უნდა, დაგვიჯდეს, უნდა განვახორციელოთ სამი ამოცანა,—პირველი სწავლა, მეორე, სწავლა და მესამე—სწავლაო.

მხოლოდ სწავლით და ცოდნით შეიძლება ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნა. ამიტომაც, საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიქცეულია წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებათა დაარსება-გაძლიერებისაკენ, ჩვენ ყოველგვარი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს საქმე მკვიდრ ნიადაგზე იქნეს დაყენებული. უნდა ავასრულოთ ის დიდი ლოზუნგი, რომელიც ილიჩმა გვიანდერძა „**ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე საბჭოთა ქვეყნებში არ უნდა იქნეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი**“. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა ერთ-ერთ დამკვირელ ამოცანათაა აღიარებული მთელ საბჭოთა კავშირში, საბჭოთა სათანადო ორგანოები კიდეაც აწარმოებენ ამ მიმართულებით ენერგიულ მუშაობას, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენში იმდენად დიდია, იმდენად მაგრად აქვს გადგმული ფესვები ჩვენს სინამდვილეში, რომ გარდა სახელმწიფოს ღონისძიებისა, საჭირო და აუცილებელია ხალხის ფართო მასსის ამოქმედება-ამოძრავება წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმის დასაგვირგვინებლად. ხალხის ფართო მასსა უსათუოდ უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს ამ დიად საქმეში, როგორც ნივთიერად, ისე ყოველ მხრივ. ამ მიზნით თბილისის აღმასკომთან დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების თბილისის და მის მაზრის განყოფილება.

ამ საქმეში დაინტერესებულ ამხანაგების ვალია ხელი შეუწყონ მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას, რათა ჩვენმა ორგანიზაციამ პირნათლად შესძლოს დასახულ მიზნის პირნათლად დაგვირგვინება. ეს განყოფილება აარსებს უჯრედებს ყველა დაწესებულებებთან, ფაბრიკა-ქარხნებში, სასწავლებლებთან, ჯარის ნაწილებში, სოფლებში და სხვა. მოუწოდებთ ყველა პარტორგანიზაციებს, პარტამხანაგებს, ახკომკავშირის ორგანიზაციის წევრებს, მასწავლებლებს და ყველა მშრომელთ და პატიოსან მოქალაქეთ, ვისაც აინტერესებს ჩვენი მშრომელი ხალხის ბედნიერება და მზის სინათლეზე გამოსვლა, ხელი შეუწყოს ამ კულტურულ საქმეს ყოველ მხრივ და გასწიონ ფართე მასაში აგიტაცია-პროპაგანდა ჩვენი საზოგადოების განმტკიცებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ამით ხორცს შევასხამთ ილიჩის უკვდავ ანდერძს.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების თბილისის განყოფილების ბიუროს თავმჯდომარე

ლ. სუხიშვილი.

შეთანხმება ინგლისთან

ინგლისის მუშებმა მოითხოვეს საბჭოთა კავშირთან შეთანხმება

შეთანხმებამ კმაყოფილება გამოიწვია ლიბერალებისა და მუშათა პარტიის წრეებში

ხელშეკრულება ჩქარა იქნება ხელმოწერილი

ჩვენი მხრით ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ: რაკოვსკი, იოფე, რადჩენკო, შეინმანი, ტომსკი

ინგლისის მხრივ ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება მაკდონალდისა და პონსონბის მიერ.

მუშების ზეგავლენით

მუშათა პარტია და ლიბერალები შეთანხმებას უჭერდნენ მხარს

ლონდონი. 6 აგვისტო. ინგლისის მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა ხელმძღვანელებმა ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე შექმნილი მდგომარეობის გამო გუშინდელი დღის განმავლობაში წარუდგინეს კონფერენციას და ინგლისის მთავრობას მთელი რიგი დაჟინებითი მოთხოვნილებებისა. პარლამენტის წრეებში ამტკიცებენ, რომ მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი ჯგუფი სავსებით, იზიარებს საბჭოთა კავშირის თვალსაზრისს; აგრეთვე ლიბერალებიც დიდი თანაგრძნობით უცქერიან მას.

პრესის გამოძახილი

როგორ შეხვდა ინგლისის პრესა კონფერენციის შეწყვეტას

რეაქციონურ გაზეთების ნაადრევი ზეიმი.

ლონდონი, 6 აგვისტო. ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის შეწყვეტას ინგლისის პრესა ამგვარად შეხვდა:

„დეილი მეილ“ „მორნინგ პოსტ“ და „დეილი ტელეგრაფ“, კმაყოფილებას გამოსთქვამენ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის ჩაშლის გამო.

„დეილი მეილ“ მოითხოვს „გაიგზავნონ ისინი უკანვე“. დანარჩენ გაზეთის კომენტარიები დაახლოვებით ასეთია: „ჩვენ თქვენ გეუბნებოდით და თქვენ თვითვე დარწმუნდით ეხლა მუშათა პარტიის პოლიტიკურ ფანტაზიორობაში“.

„ტაიმს“ უპირისპირებს მოკავშირეთა კონფერენციას და ირლანდიის კრიზისს ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ჩაშლას და აცხადებს. „მთავრობა იმყოფება მეტად არაჩვეულებრივ მდგომარეობაში და მან თავის თავზე იკისრა ძალიან დიდი პასუხისმგებლობა“.

ლიბერალური პრესის უკმაყოფილება

ლიბერალური პრესა ერთხმად მოითხოვს, რომ დაცული იქნეს შემდეგი მოლაპარაკების შესაძლებლობა.

„ვესტმინსტერ გაზეტ“ სწერს: „**იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არ დარჩება გამწვავებული და ორჭოფული**“.

„დეილი ნიუს“ სწერს: არჩევანი უნდა მოვახდინოთ იმ მუხლების რიცხვის გადიდების ცდის შორის, რომლებშიაც ჩვენ ვეთანხმებით ერთმანეთს და მეორე მხრით იმ მისწრაფებას შორის, რომელიც ყოველივე საშუალებით ცდილობს შეუძლებელი გახადოს შეთანხმება საზოგადოდ“.

„მანჩესტერ გარდიენ“ თავის ფრთხილ მოწინავეს ათავებს შემდეგი სიტყვებით: „ღონისძიებები უნაყოფოდ დარჩენ, ალბად იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ შეთანხმება ინგლისის საკუთრების ცნობის საკითხში უდრის ნაციონალიზაციის პრინციპის დარღვევას. მეორე მხრით, ზოგიერთი ინგლისელები უარს ამბობენ რუსეთისათვის ფულის სესხებაზე, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ეს უდრის კერძო საკუთრების ბურჟუაზიული პრინციპის დარღვევას. ეს მშვენიერი ლოღიკა დიდ სიამოვნებას გვრის თეორეტიკოსებს და დაუსრულებელ დაბრკოლებებს ქმნის კაცობრიობისათვის“.

ფინანსიური პრესა მოლაპარაკების ჩაშლას არ უკეთებს კომენტარიებს.

საფრანგეთის პრესა კონფერენციის შეწყვეტის შესახებ.

პარიზი. 6 აგვისტო. „ევრი“ აცხადებს, რომ **საფრანგეთი უნდა ემზადოს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირთან განაახლოს ურთიერთობა.**

საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი პრესა ცდილობს გააშუქოს ლონდონში მომხდარი ინციდენტი თავისთვის ხელსაყრელ ფერებით და გამოჰყავს სათანადო დასკვნები.

ასე მაგ. „ფიგარო“ აცხადებს, რომ სანამ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა განახლდებოდეს, სანამ საბჭოთა მთავრობას იურიდიულად იცნობდენ, საჭიროა მოწესრიგებულ იქნას სადაო საკითხები ორივე სახელმწიფოს შორის.

ხელშეკრულების დადების გარშემო

როდის მოაწერენ ხელს

ლონდონი, 7 აგვისტო. ხვალ ორივე ქვეყნის დელეგატები ხელს მოაწერენ საერთო და სავაჭრო ხელშეკრულებებს.

ლონდონი, 8 აგვისტო. ინგლის-საბჭოთა კავშირის ორთავე ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ საბჭოთა კავშირის მხრივ: რაკოვსკი, იოფე, რადჩენკო, შეიმანი და ტომსკი; ინგლისის მხრივ—მაკდონალდი და პონსონბი.

„დეილი ჰერალდი“-ს წერილი

„დეილი ჰერალდ“ სწერს: „რომ დასაჯერებელი იყოს ის, რომ კონფერენციის მთელი მუშაობა ამაოდ დაიკარგა, ჩვენ გამართლებულად უნდა ჩაგვეთვალა ის ზეიმი, რომელიც გამეფდა გუშინ ყველაზე უფრო უნიჭო კონსერვატორების წრეებში. მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, **რომ 4 თვის მუშაობის შემდეგ, როდესაც შეთანხმება მიღწეულია ყველა მუხლებში, გარდა ერთისა, შესაძლებელი იყოს განხეთქილება იმიტომ, რომ ეს მუხლი სხვებზე უფრო ძნელი გადასაჭრელი აღმოჩნდა.** დანაშაული იქნებოდა, რომ დაღლილობა დელეგატებისა, რომლებიც 20 საათი იჯდენ შეთანხმების მისაღწევად, მიგვიყვანდა იმედის გაცრუებამდე. რას იტყოდენ მაშინ, რომ მოკავშირეთა კონფერენცია შეწყვეტილიყო და მას გამოეცხადებია ცნობა მოლაპარაკების უშედეგობის შესახებ და ეს დაესაბუთებია მით, რომ ძნელი შეიქნა ისეთი ფორმულის გამოძებნა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა საფრანგეთისა და ჩვენთვის. [illegible] დენ, რომ ასეთი ფორმულა უნდა გამოიძებნოს მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხანი დასჭირდება ამას და ბოლოს და ბოლოს გამოძებნიდენ. რატომ არ შეიძლება იგივე თვალსაზრისით მივუდგეთ ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას? იმიტომ ხომ არა, რომ, საუბედუროდ, მოლაპარაკების ვადა წინასწარ იყო განსაზღვრული?

ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მთავრობა დაიჟინებს ამ დაწესებულ ვადას. **ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საბჭოთა მთავრობა დასტოვებს საქმეს ისე, როგორც ის არის, თუ მას საშუალება აქვს განაახლოს მოლაპარაკება.**

პონსონბი ძალიან დიდ დათმობაზე წავიდა საბჭოთა დელეგატებთან თითქმის ყველა მუხლებში. ხოლო საკითხში ინგლისის იმ მოქალაქეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების მეთოდის შესახებ, რომელთა საკუთრების ნაციონალიზაცია უყო რუსეთმა, მას არ შეეძლო დათმობა, ჰქონდა რა გარკვეული ინსტრუქციები თავისი მთავრობისაგან, რომელიც ავალებდა მას დაჟინებით მოეთხოვა ყველა მნიშვნელოვან პრეტენზიების დაკმაყოფილება. საბჭოთა დელეგატები კი აყენებდენ კითხვას, სახელდობრ რომელი პრეტენზიები ითვლება მნიშვნელოვანად. მათ წამოაყენეს საკითხი, თანახმაა თუ არა ინგლისი იმაზე, რომ ეს მნიშვნელობა გამოარკვიოს შეთანხმებულად ორივე მთავრობამ? ეს საკითხი, როგორც შესწორება, უარყოფილ იქნა, მაგრამ ყოველი კაცი იტყოდა ბოლოს და ბოლოს, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა—„მნიშვნელობა“. უბრალო კაცი, თუ ის მუშაა, იტყოდა, რომ საქციელი მუშათა მთავრობის, რომელიც ხელიდან [illegible] ლებას, რომელიც იძლევა დიდ კომერციულ შესაძლებლობას, და ეხლა ჩაშლის გამო იმედს უცრუებს ჩვენს მუშებს მხოლოდ იმისათვის, რათა თეორეტიულად დაჟინებით დაიცვას კერძო საკუთრების უფლების დაურღვევლობა, მეტად საკვირველია. ეს საკითხი წმინდა თეორეტიულია და არავინ არ ფიქრობს, რომ ინგლისელმა მესაკუთრეებმა შესძლონ თავისი ქონების აღდგენა. საბჭოთა მთავრობა თანახმაა აანაზღაუროს ამ ზარალის ნაწილი.

ცხადია, ათავებს გაზეთი, შესაძლებელია სიტყვის გამოძებნა ამის გამოსახატავად“.

პრესა

მოუსავლიანობა და ჩვენი ამოცანები

ასეთი სათაურით მოსკოვის „პრავდა“-ში (№ 171) მოთავსებულია ამხ. **გ. ზინოვიევის** მეტად საყურადღებო წერილი.

სასოფლო მეურნეობის აღორძინებისა და გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისადმი ყურადღების უფრო გაძლიერება,—აი, რას გვავალებს წრევანდელი მოუსავლობა. მართალია, მოუსავლიანობა **საერთოდ** არც ისე დიდია. 1921 წელთან შედარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

„როგორც ეტყობა, მოსავლის საერთო ციფრი მოუახლოვდება 2 მილიარდ 600 მილ. ფუთს. სხვა სიტყვებით: ა. წ. ყველა პურეულის მოსავლის რაოდენობა არც ისე ჩამორჩება შარშანდელისას“.

„...გლეხობის სყიდვითი უნარი (პურზე უფრო მაღალ ფასებთან, „მაკრატლის“ მოსპობასთან და სხ. დაკავშირებით), ალბად, არ იქნება შარშანდელისაზე ნაკლები“.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვქონდეს საფუძველი „პირის მოქნარებისა და უდარდელობისათვის“:

„წრევანდელი მოუსავლიანობა შეეხო მთელ რიგ გუბერნიებს უფრო მტკივნეულად, ვინემ ეს დასაწყისში გვეგონა.

სასოფლო მეურნეობა კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენში მთელი სახალხო მეურნეობის საფუძვლად. ამიტომ წრევანდელი მოსავლის ნაკლებობა საგრძნობ გავლენას იქონიებს რესპუბლიკების კავშირის მთელ სამეურნეო ორგანიზმზე“. ... „ქვეყნის დაწყებული სამეურნეო აღორძინების ტემპი წრეულს არ იქნება ისეთი ჩქარი, როგორიც ეს მოსალოდნელი იყო“.

ისიც შესაძლებელია, რომ მომავალ წლებშიც განმეორდეს მოუსავლიანობა, რაც გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენებს.

ამასთან დაკავშირებით რა ამოცანებია წამოჭრილი ჩვენს წინაშე?

„დღევანდელი ამოცანები არ უნდა აურიოთ იმ ამოცანებში, რომელნიც იდგნენ ჩვენს წინაშე 1921 წ. მაშინ საქმე ეხებოდა სიცოცხლის უბრალო შენარჩუნებას. გლეხები ასი ათასობით სტოვებდნენ თავიანთ ადგილებს და გარბოდნენ უკან მოუხედავად. მაშინ მეურნეობის დაცვაზე არ შეგვეძლო ზრუნვა.

ეხლა უბედურება ისე დიდი არ არის, ეხლა საქმე ეხება სწორედ სამეურნეო დახმარებას“.

ამისათვის ჩვენ უფრო უნდა განვამტკიცოთ კავშირი გლეხობასთან და მივიღოთ რეალური ზომები სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად.

„პარტიის კავშირი გლეხობასთან ძალიან გაიზარდა ბოლო წლებში, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. და აი, ეხლა იქმნება მდგომარეობა, როცა საქმიან, პრაქტიკულ ნიადაგზე პარტიას შეუძლია—მაშასადამე უნდა,—გააუმჯობესოს თავისი კავშირი გლეხობასთან.

პარტიამ არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა უჩვენოს გლეხობას, რომ ის ყველაფრით, რითაც შეუძლია, ეხმარება მას. სახელმწიფო ორგანოებმა, პარტიის ხელმძღვანელობით, საქმით უნდა დაუმტკიცონ გლეხობას, რომ გაჭირვების დროს მუშურ-გლეხური სახელმწიფო ყველაფერს, რაც შეუძლია, გაიღებს სასოფლო მეურნეობის დასახმარებლად“.

თესლის მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხის მოგვარება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერება, ყველა სახის აგრონომიულ დახმარების და აგრონომიულ პროპაგანდის ფართედ დაყენება,—ყველაფერ ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. სათანადო ორგანოები კიდეც იღებენ ამ მხრივ საჭირო ზომებს.

რა თქმა უნდა, ჩვენს დახმარებას გლეხობისადმი უნდა მიეცეს სისტემატიური და გეგმა შეწონილი ხასიათი.

„პარტია და ხელისუფლება არ შეიძლება დაკმაყოფილდნენ დახმარების გაწევით მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე. მათ ეხლავე უნდა წამოაყენონ ფართე გეგმა დიდი სახელმწიფოებრივი გაქანებით, რათა უზრუნველჰყონ ჩვენი სასოფლო მეურნეობა მოუსავლიანობის განმეორებისგან. გვალვის შედეგებთან საბრძოლველად უკვე დასახულია სამელიორაციო მუშაობის ფართე პროგრამა 10 წლისათვის... ეჭვი არ არის, რომ ცენტრალური ხელისუფლება ენერგიულად შეუდგება ასეთი ხასიათის მუშაობას ისეთი სახელმწიფოებრივი გაქანებით, როგორსაც მდგომარეობა მოითხოვს“.

საჭიროა ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მელიორაციის იდეა პოპულიარული გახადონ გლეხთა ფართე მასსებში. უკანასკნელებმა უნდა გაიგონ, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს იღებენ გლეხურ მეურნეობის დასახმარებლად და იწყებენ უდიდეს სამუშაოს, რომელიც წარმატებით დამთავრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხთა მასსები გამოიჩენენ მისდამი ცხოველ ინტერესს და აქტივობას.

საჭიროა მივარდნილ კუთხის გლეხმაც გაიგოს, რომ „ბოლშევიკებმა თავს იდვეს ხანგრძლივი შრომა, რათა გვალვიან ადგილებს მიაწოდონ წყალი და უზრუნველჰყონ გლეხობა მოუსავლიანობისაგან. საჭიროა, რათა მსხვილი ცენტრების მუშებმა იკისრონ შეფობა უფრო გვალვიან რაიონებზე, საჭიროა, რათა რესპუბლიკების მთელი კავშირის, განსაკუთრებით დედა-ქალაქების და სხვა მთავარ ცენტრების მუშები, ნამდვილად დაინტერესდნენ სამელიორაციო სამუშაოებით და ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ სამუშაოებებს“.

გარდა ამისა საჭიროა, რომ საბჭოთა დაწესებულებები, კერძოდ ცენტრალური ორგანოები გარდაიქმნენ იმ გვარად, რომ თავიანთი მუშაობა უფრო შეუფარდონ, ვინემ ეს დღემდე იყო, სოფლის მეურნეობის და გლეხთა ინტერესების დაკმაყოფილებას.

„დროა მთელ რიგ ჩვენ ორგანიზაციებმა უფრო მეტად იბრუნონ პირი სოფლისკენ“.

ამა თუ იმ დაწესებულების ღირსების შესაფასებელ საზომად უნდა მივიღოთ ის, თუ რა გააკეთა მან სოფლისათვის.

„—ჩვენ ამდენი და ამდენი სამაგალითო დაწესებულება გვაქვს, ამა და ამ ქალაქში,—იტყობინება ესა თუ ის უწყება.

— რა გააკეთეს სოფლისათვის?—უნდა შეეკითხოს მას პარტია. მიხედე სოფელს! გახსოვდეს გლეხობა! ვინაიდან ჩვენ ვართ ქვეყანა მუშების და გლეხების“.

ქვეყნის სრული სამეურნეო აღორძინების გზაზე ჩვენ ბევრი ახალი სიძნელე გველობება. ერთი ასეთი სიძნელეა დღეს მოსავლის ნაკლებობა. მას ჩვენ დავსძლევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელ ძალღონეს გავაერთიანებთ, თუ მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან **მოქმედებით** განვახორციელებთ ახლად შექმნილ პირობებშიც. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ამას შევსძლებთ. მაშინ

„ქვეყნის სამეურნეო აღორძინება, კერძოდ სასოფლო მეურნეობის აღორძინება წავა აჩქარებული ტემპით. რკინის ხელით გავატარებთ ჩვენ ისეთ ფართე სამელიორაციო სამუშაოებებს, რომელნიც უზრუნველყოფენ დამაკმაყოფილებელ მოსავალს ყველა პირობებში, და ჩვენი კავშირის მშრომელთ აღარ მოუხდებათ მუდამ კითხვის დაყენება: რას გვიმზადებს მომავალი წელი“.

მოუსავლიანობას წრეულს აქვს ადგილი ჩვენშიაც. საჭიროა მისი შედეგების სალიკვიდაციოდ და მომავალში განმეორების ასაცილებლად მუშაობა უფრო გაძლიერებულ იქნას.

ჩვენ და უცხოეთი

საფრანგეთი

საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა აუცილებელია

პარიზი. 6 აგვისტო. საფრანგეთის სოციალისტმა მარიუს მუტემ „რომელსაც **ასახელებენ საფრანგეთის ელჩის კანდიდატად საბჭოთა კავშირში**, მილიუკოვის გაზეთის „პოსლედნიე ნოვოსტი“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს **განაცხადა, რომ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა აუცილებელია**, თუმცა ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა დღეს ნაკლებ დასაჯერებელია. მუტე ფიქრობს, რომ ნაკლები იმედი უნდა იქონიოს საფრანგეთმა საბჭოთა კავშირში კონცესიების მიღებაზე. საბჭოთა კავშირსაც ნუ ექნება იმედი საფრანგეთისაგან კრედიტის მიღებაზე, რადგან უკანასკნელს ფულები არ მოეპოვება.

მექსიკა

საბჭოთა კავშირის ელჩი მექსიკაში.

ბერლინი, 7 აგვისტო. საბჭოთა ელჩათ მექსიკაში დაინიშნა პეტკოვსკი, რომელიც ცნობილია თავისი მოღვაწეობით თურქესტანში.

სამხრეთ-სლავია

ურთიერთობა ჩქარა იქნება აღდგენილი

ბერლინი. 7 აგვისტო. მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც წაკითხული იქნა „სკუპშჩინაში“ (პარლამენტში), **სამხრეთ-სლავიის პრემიერი დავიდოვიჩი გამოსთქვამს იმედს, რომ ჩქარა აღდგენილი იქნება ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ოსმალეთთან.**

საკითხი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ.

ვენა. 6 აგვისტო. სამხრეთ სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მარილკოვიჩმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, **რომ საკითხი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ ახლო მომავალში იქნება განხილული „სკუპშჩინაში“ (პარლამენტში).**

ინგლისი

მოწვევა კონგრესზე.

მოსკოვი. 8 აგვისტო. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ტრედუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოსაგან მიიღო მიპატიჟება ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესზე, რომელიც შესდგება გულლში სექტემბრის პირველ კვირაში.

მოკავშირეთა და გერმანიის მოლაპარაკება

მოკავშირეები შეუდგენ გერმანიის მემორანდუმის განხილვას

გერმანია-საფრანგეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება რურის ევაკუაციის შესახებ

დელეგაციების მეთაურთა თათბირზე ერრიოსა და სნოუდენს უთანხმოება მოუვიდათ

თუ გერმანიის მოთხოვნილებები განსახილველად ექსპერტებს გადაეცა, ერრიო კონფერენციის დატოვებით იმუქრება.

რურის ევაკუაციის საკითხი

თათბირი ევაკუაციის შესახებ.

ნაუენი. 8 ავგისტო. „კოტიდიენ“-ის ცნობით, გუშინ გაიმართა პირველი კერძო აზრთა გაცვლა-გამოცვლა საფრანგეთ-ბელგიის და გერმანიის დელეგატებს შორის რურის ევაკუაციის საკითხის შესახებ.

ნაუენი. 8 ავგისტო. საკითხი რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ, გადაჭრილი იქნება ალბათ, მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურთა მახლობელ თათბირზე.

ბრიტანეთის დელეგაცია არ ესწრება არც ერთ წინასწარ თათბირს, რომელზედაც იხილავენ ევაკუაციის საკითხს.

ჰანოვერი. 8 ავგისტო. „ტაიმსის“ ცნობით კონფერენციის კომისიების გუშინდელ სხდომებზე გაურბოდენ რურის ევაკუაციის საკითხის დაყენებას. კონფერენციის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს საკითხი ეხება მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთს, ბელგიას და გერმანიას, რომლებიც ალბათ მიაღწევენ შეთანხმებას ამ საკითხში და აცნობებენ თავიანთ გადაწყვეტილებათა შესახებ დანარჩენ სახელმწიფოებს.

ნაუენი, 8 ავგისტო. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, რურის ევაკუაციის საკითხი სხვა საკითხებთან ერთად ჯერ კიდევ გუშინ გადაეცა 14-თა კომისიას.

ჰანოვერი, 8 ავგისტო. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, რურის ევაკუაციის საკითხი აღძრული იქნება კონფერენციის პლენარულ სხდომაზე.

ნაუენი, 8 ავგისტო. „ვესტმინსტერ გაზეტი“ შესაძლებლად სთვლის რკინისგზელების საკითხის კომპრომისულ გადაჭრას. რურის ევაკუაციის საკითხი კი, გაზეთის აზრით, უფრო რთულია.

პრესა ევაკუაციის შესახებ.

ნაუენი, 8 ავგისტო. გაზ. „კოტიდიენი“ მხარს უჭერს რურის ევაკუაციას მხოლოდ გერმანიის განიარაღების შემდეგ. კელნის ზონის ევაკუაციას გაზეთი შესაძლებლად სთვლის მას შემდეგ, როდესაც გერმანია შეასრულებს ელჩთა კონფერენციის ყველა პირობებს და როდესაც მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისია შეცვლილი იქნება რომელიმე სხვა ორგანოთი ერთა ლიგის შეხედულებისამებრ.

„ერ ნუველის“ ცნობით, გენერალმა ნოლლემ უკვე წარუდგინა მაკდონალდს სათანადო გეგმა.

გერმანიის მემორანდუმი

მარქსის წერილი მაკდონალდის მიმართ.

რომი. 8 ავგისტო. კანცლერმა გაუგზავნა მაკდონალდს წერილი, თანდართული გერმანიის მემორანდუმზე, რომელიც შეიცავს 20 ფურცელს. თავის წერილში მარქსი აცხადებს, რომ დროს უქონლობის გამო გერმანიის დელეგაციას არ შეუძლია სწორი მსჯელობა იქონიოს ყველა იმ კერძო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღო კონფერენციამ, და ყველა იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ გადაწყვეტილებებს. მარქსი სთხოვს მაკდონალდს განიხილოს გერმანიის შენიშვნები მხოლოდ ამ თვალსაზრისით. სხვათა შორის, მარქსი აღნიშნავს, რომ მოკავშირე[illegible] არ ამის[illegible] ყველა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ექსპერტთა გეგმის გატარებასთან.

გერმანიის დელეგაცია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს საკითხს ყველა იმ ტერიტორიების დაცლის შესახებ, რომლებიც არ არის მოხსენებული ვერსალის ხელშეკრულებაში.

დასასრულ მარქსი აცხადებს, რომ რეინ-ვესტფალიის ზონაში დაახლოვებით 5000 ფრანგ და ბელგიელ რკინისგზელის დატოვება, წარმოადგენს ისეთ ფაქტს, რომელიც არ ეთანხმება ექსპერტთა გეგმას.

გერმანიის დელეგაციის შენიშვნები

პარიზი. 6 ავგისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით მოკავშირეთა კონფერენციის სხდომაზე გამოქვეყნებული იქნა გერმანიის დელეგაციის შენიშვნები, რომელიც წინად წერილობით გადაეცა კონფერენციას. მიღებული იქნა დადგენილება, რომლითაც საშუალება ეძლევა დელეგატებს გაიცნონ გერმანიის დოკუმენტები.

ლონდონი. 6 ავგისტო. წარუდგინა რა კონფერენციას თავისი შენიშვნები მოკავშირეთა კომისიის მოხსენების გამო, გერმანიის დელეგაციამ აღნიშნა, რომ მას განსაკუთრებით აინტერესებს საკითხი დაპყრობილ ტერიტორიების ევაკუაციის და იქ მოკავშირეების რკინისგზელების დატოვების შესახებ და მას საჭიროთ მიაჩნია ამ საკითხების განხილვა.

გერმანიის მოთხოვნილებანი

ნაუენი. 8 ავგისტო. გერმანიის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს სრულ ამნისტიას ყველა იმ პირების მიმართ, რომლებიც დასჯილი იქნენ საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს მიერ პასიური წინააღმდეგობისათვის. ამის გარდა დელეგაცია მოითხოვს, რომ **საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნეს ნეიტრალური სახელმწიფოს თავმჯდომარე.**

გერმანიის დელეგაცია მოითხოვს რომ „შეუსრულებლობის“ გამორკვევის წესი უფრო სისწორით იქნეს განსაზღვრული, ვინემ ეს არის კომისიის მიერ შემუშავებულ შეთანხმებაში. დელეგაცია მოითხოვს, რომ არც ერთ მოკავშირე სახელმწიფოს არ ექნეს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება სხვა სახელმწიფოების თანხმობის გარეშე და რომ „შეუსრულებლობის“ ფაქტის გამორკვევის დროს გერმანიას მიეცეს თავისი ჩვენებით გამოსვლის უფლება.

ერრიო იმუქრება

ერრიოს და სნოუდენის უთანხმოება.

ნაუენი. 8 ავგისტო. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, **მოკავშირეთა დელეგატების მეთაურთა გუშინდელ სხდომაზე სნოუდენს, რომელიც ხმას აძლევდა წინადადებას გერმანიის დელეგაციის მიერ აღძრულ საკითხების ექსპერტთა კომისიისათვის გადაცემის შესახებ, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ერრიომ. უკანასკნელი აღელვებული ხმით შეეკამათა სნოუდენს, რომელიც იცავდა თავის თვალსაზრისს. ერრიომ განიმეორა თავისი შენიშვნები და დაიმუქრა კონფერენციის დატოვებით.**

შემდეგ მაკდონალდის წინადადებით მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება.

კომისიების მუშაობა

კომისიების სხდომები.

ლონდონი, 8 ავგისტო. გერმანიის დელეგაციის მონაწილეობით შესდგა კონფერენციის სხდომები, **რომლებზედაც ირჩეოდა საკითხები რურის ეკონომიური ევაკუაციის, სარეპარაციო თანხების გადაგზავნის და ნატურით მოწოდების შესახებ.**

14-თა კომისიაში.

ლონდონი, 8 ავგისტო. მთავარი ინტერესით ეპყრობიან დღეს 14-თა კომისიის მუშაობას. ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება ოფიციალური ცნობები ამ კომისიის მუშაობის შესახებ. იუწყებიან, რომ კომისიამ დაამთავრა კონფერენციის პირველი კომისიის მოხსენების განხილვა „შეუსრულებლობის“ საკითხზე.

გერმანიის საპასუხო წერილი

გერმანიის პასუხის გამო.

ბერლინი 6 ავგისტო. მიუხედავად გერმანიის პრესის სახელმწიფო ბიუროს დაჟინებითი თხოვნისა, თავი შეიკავონ გერმანიის პასუხის გამო წინასწარ წერილის გამოქვეყნებისაგან (გერმანიის პასუხი ეხება დოუესის პროექტის განხორციელების საკითხს) „ბერლინერ ტაგებლატი“ მაინც აქვეყნებს ამ დოკუმენტს. წერილში აღნიშნულია, რომ **გერმანიის დელეგაცია გადამწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებს რურის სამხედრო ევაკუაციის საკითხის გადაჭრას** და დოუესის პროექტთან შეუთავსებლად მიაჩნია მას კომისიის მეორე თავმჯდომარის მოთხოვნილება ოკუპაციაქმნილ ოლქებში 5.000 ფრანგ. და ბელგიელ რკინის-გზელების დატოვების შესახებ.

გერმანიის პრესის გამოხმაური

ბერლინი. 6 ივლისი. გერმანიის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ **გერმანიის დელეგაციამ ლონდონის კონფერენციაზე ფართოდ დააყენა საკითხი რურის ევაკუაციის და რკინისგზების მართველობის შესახებ.** ზოგიერთი გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ ეს საკითხები უშუალოდ გადაიჭრება ბელგიასა, საფრანგეთსა და გერმანიის შორის გამართულ უშუალო მოლაპარაკებით. თუმცა მეორეს მხრივ მწვავედ დგას საკითხი გერმანიის მხრივ კომპენსაციის შესახებ.

ბანკირების კლანჭებში.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ლონდონში გამომუშავებული საკითხის საკომპრომისო გადაჭრა უფრო ცუდია, ვიდრე დოუესის ყაჩაღური გეგმა, ვინაიდან იმ დროს, როდესაც **დოუესის პროექტი აკმაყოფილებს მხოლოდ ამერიკის იმპერიალიზმს, ლონდონის კომპრომისი წარმოადგენს მთელ რიგ დათმობებს საფრანგეთის იმპერიალიზმისადმი. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანია გადაიქცევა ამერიკის და საფრანგეთის კაპიტალისათვის ნედლი მასალის მიმწოდებლად.**

სამთომადნო მუშათა საერთაშორისო ყრილობა

პრაღა. 6 ავგისტო. პრაღაში გაიხსნა სამთომადნო მუშათა საერთაშორისო ყრილობა. ყრილობას დაესწრენ: ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, სამხრეთ-სლავიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, უნგრეთის, პოლონეთის და რუმინეთის წარმომადგენლები. ამსტერდამის ინტერნაციონალის სახელით ყრილობას მიესალმა ბრაუნი, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროა შეწყვეტილ იქნას დავა და თავიდან ავიშოროთ ყოველგვარი დაბრკოლებანი პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისათვის. ბრაუნმა ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მუშათა კლასის მონაპოვართა, და უპირველეს ყოვლისა 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნება.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია წარმოგზავნა 70.000 მუშამ, ინგლისის—800.000, გერმანიის—249,000, უნგრეთის—18,000 ამერიკის—600,000, რუმინეთის—11.000, ავსტრიის 20000, სამხრეთ-სლავიის—1000, ბელგიის—80,000, პოლონეთის—45.000, ესპანეთის—15.000, საფრანგეთის 60,000. დღის წესრიგში დასმულია: სატარიფო ხელშეკრულებანი, სამთომადნო ინსპექცია, მუშების შვებულება, სამუშაო დღის ხანგრძლივობა. უკანასკნელ მუხლის გამო მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს კავშირებს კურსი აიღონ იმ ქვეყნებზე, სადაც ყველაზე უფრო შემცირებულია სამუშაო დღის ხანგრძლივობა.

პანების სამეფოში

გაფიცვა გრძელდება.

ვარშავა, 6 ავგისტო ზემო-სილეზიაში გრძელდება გაფიცვა. ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს მთავრობის ჩარევას, კონფლიქტის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის მიზნით და მოუწოდებს მრეწველებს წავიდნენ ზოგიერთ დათმობაზე.

თავდასხმა სტოლბიცეზე.

ვარშავა, 6 ავგისტო პოლონეთის პრესა ათავსებს დაწვრილებით ცნობებს სტოლბიცეზე თავდასხმის შესახებ „რეჩპოსპოლიტა“ იუწყება, რომ რაზმი, რომელიც სტოლბიცს თავს დაესხა ჩამოვიდა მინსკიდან. გაზეთი იქვე ეწინააღმდეგება თავის თავს, და აცხადებს, რომ თავდამსხმელთა შორის იყვნენ სტოლბიცის მაზრის მცხოვრებნი. მოწმეთა სიტყვით, რაზმის უფროსი უწოდებდა თავის თავს მიხაილსკის და ლაპარაკობდა პოლონურად. იმავე მოწმის სიტყვები, რომ თითქოს რაზმის ნაწილი შესდგებოდა წითელარმიელებისგან,—სიცრუეა.

მემაღაროების გაფიცვა.

ვარშავა. 6 ავგისტო. ზემო-სილეზიაში მუშები იმუქრებიან გაფიცვის გამწვავებით, თუ მრეწველები არ წავლენ დათმობაზე, და იმ მუშების მიხსნით, რომლებიც საჭირო არიან მაღაროების მოსაწყობად. დომბროვის რაიონში იწყება გაფიცვა მემაღაროებისათვის თანაგრძნობის ნიშნად. ზოგიერთ მაღაროებში მუშაობა უკვე შეწყდა; მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა დომბროვში

სხვა და სხვა ამბები

— **კომუნისტების დაპატიმრება.** შვეიცარიის მთავრობამ დააპატიმრა კომუნისტები ჟილბერი (ფრანგი) და ტომასი (გერმანელი).

— **სპირტის სასმელების შეტანის აკრძალვა.** ნორვეგიის მთავრობამ აკრძალა სპირტიანი სასმელების შეტანა ნორვეგიაში.

დე-რივერა რჩება. ესპანეთის დიქტატორმა დე-რივერამ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ დირექტორია არ გადადგება.

— **ამერიკის წარმომადგენელი ანგორაში.** ამერიკის წარმომადგენელი სტამბოლში ადმირალი ბრისტოლი ანგორაში გაემგზავრა ოსმალეთ-ამერიკის დამოკიდებულების მოსაგვარებლად.

— **ლაფოლეტის სასარგებლოდ.** ამერიკის მუშათა პარტიის აღმასკომმა დაადგინა არ წამოაყენოს თავისი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე. პარტიის წევრებს უფლება აქვთ ხმა მისცენ სენატორ ლაფოლეტს.

— **საშინელი წყალდიდობა.** ჩინეთის მარტო ერთ პროვინციაში (ჩჟილი) წყალდიდობამ გაანადგურა 300 სოფელი, დაიღუპა 3500 კაცი.

— **ლოზანის ხელშეკრულების დამტკიცება.** ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა ლოზანის ხელშეკრულება. ხელშეკრულება დაამტკიცეს აგრეთვე საბერძნეთმა და იაპონიამ.

— **გენ. ბერვუდის დანიშვნა.** ინგლისის ჯარების მთავარსარდლათ ინდოეთში დაინიშნა გენერალი ბერვუდი.

— **შეთქმულება მემელში.** მემელიდან მიღებული ცნობით, იქ აღმოაჩინეს გერმანელ ნაციონალისტების შეთქმულება. შემთქმელებს მიზნათ ჰქონდა მემელის გამოცხადება დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

— **ტრანსპორტის მუშათა კონგრესი.** ჰამბურგში (გერმანია) გაიხსნა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესი.

— **სამხრეთ-სლავიაში.** სამხრეთ-სლავიის რადიკალები ოპოზიციაში ჩაუდგენ ახალ (დავიდოვიჩის) მთავრობას და თავის ლიდერათ ყოფ. პრემიერი პაშიჩი აირჩიეს.

უკანასკნელი ცნობები

ოსმალეთის ფინანსები.

ბერლინი, 8 ავგისტო. როგორც [illegible] იუწყებიან, [illegible]რის მთავრობამ მიიწვია ამერიკის, შვეიცარიის და საფრანგეთის ფინანსისტები ოსმალეთის ფინანსების მოსაწესრიგებლად.

ტანჟერის ნავსადგურში.

პარიზი, 8 ავგისტო. ტანჟერის ნავსადგურის ადგილობრივ ხელისუფლებისათვის გადაცემის დროს პირველად აფრიალდა მავრიტანული ნაციონალური დროშა.

მოკავშირეთა კონფერენცია.

გერმანიის წინადადების მიღება.

ბერლინი, 8 ავგისტო. მოკავშირეთა კონფერენციის პირველმა კომისიამ მიიღო გერმანელ დელეგატების წინადადება, რომ გადაწყვეტილება რეპრესიული ზომების მიღების შესახებ მიღებულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვევით დამტკიცებული იქნება, რომ პირობის შეუსრულებლობა განზრახ მოხდა.

პირველი ვიზიტები.

პარიზი, 8 ავგისტო. მარქსი, შტრეზემანი და ერრიო პირველად ესტუმრენ ერთმანეთს.

„მშვიდობიანობის მოტრფიალენი“.

ბერლინი, 8 ავგისტო. ერრიოსთან სტუმრობის დროს გერმანიის კანცლერმა მარქსმა აღნიშნა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობის შესახებ. ერრიოს განცხადებაზე, რომ საერთო ძალებით შესაძლო გახდება ევროპაში მშვიდობიანობის აღდგენა მარქსმა უპასუხა, რომ ის არა როგორც დიპლომატი, არამედ როგორც პატიოსანი ადამიანი მიილტვის მშვიდობიანობის აღდგენისაკენ.

ერიო პარიზში მიდის

პარიზი, 8 ავგისტო. ერიო გაემგზავრება პარიზში სამხედრო მინისტრ ნოლეს და ფინანსთა მინისტრ კლემენტალის თანხლებით. პრემიერის გამგზავრება გამოწვეულია მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათ მიღების წინ—რურის ევაკუაციის და რკინისგზელთა დატოვების შესახებ—მინისტრთა საბჭოსთან მოლაპარაკების სურვილით მომავალი პოლიტიკის შესახებ ლონდონში.

„ურწმუნოები“-ს დასარბევად.

თეირანი, 8 ავგისტო. ქალაქში დადის ხმები, რომ რეაქციონერების აგენტები და სხვა დაინტერესებული წრეები აწარმოებენ აგიტაციას მუსულმან მოსახლეობის შორის „ურწმუნოების“ დასარბევად მეჰარამის დღესასწაულობის გამო. ამ მიზნით გამოყენებულ იქნებიან ადგილობრივი მუსავატისტური ორგანიზაციები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

რადიო და ტელეფონი.

ბაქო. 8 ავგისტო. ახალი რადიო სადგური, რომელიც აზერბეიჯანში შენდება, გაავრცელებს მოქმედებას ტაშკენტ-თეირან-სტამბოლამდე. ახალ სადგურის მოწყობის მთავარ დაბრკოლებათ ითვლება შენობის უქონლობა, რომლის აშენება დაჯდება არა ნაკლებ 50.000 მანეთისა. საერთაშორისო სატელეფონო კავშირი სამსახურს გაუწევს ბაქო—ტფილისი—მოსკოვს, რისთვისაც საჭირო იქნება გასაძლიერებელი ხელსაწყო.

სოფლის სკოლები.

ბაქო, 8 ავგისტო. აზერბეიჯანში დაიწყო სოფლის სკოლების აშენება, რომელიც ჩქარა დამთავრდება.

სპარსეთის ბრინჯი.

ბაქო. 7 ავგისტო. 1924 წ. იანვრიდან ივნისამდე სპარსეთიდან ბაქოში შეტანილია 1.021.521 ფუთი ბრინჯი. ბრინჯის მოსავალი წელს იქნება 5 მილ. ფუთი. სპარსეთიდან შეიძლება გამოტანილ იქნას 1 მილიონი ფუთი ბრინჯი.

მეფის დროს მოჭრილ ფულის შესყიდვა

ბაქო. 7 ავგისტო. სახელმწიფო ბანკი შეუდგა მეფის დროს მოჭრილ ვერცხლის ფულის შესყიდვას. ჯერჯერობით ბანკი ყიდულობს 1 მანეთიანებს და ათ შაურიანებს. ერთი მანეთს ჰყიდულობს 62 კაპეიკად. წვრილი ფული არ იქნება შესყიდული განსაკუთრებულ განკარგულებამდე. ოქროს ათ მანეთიანს იღებენ 9 მან. და 50 კაპეიკად.

კალიას.

ბაქო. 7 ავგისტო. უეცრად მოგრინდა აზიური კალია, რომელმაც დიდი ზარალი ვერ მიაყენა ნათესებს მუღანში კალიამ გაანადგურა 3 დესეტინა სიმინდი და 40 დესეტინა ხორბალი. მიღებულია სათანადო ზომები კალიის წინააღმდეგ.

სომხეთი

ბრძოლა მავნებლებთან.

ერევანი. 7 ავგისტო. სახ. კომისართა საბჭომ გადარიცხა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის განკარგულებაში 2,000 მანეთი მავნებლებთან საბრძოლველად.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა

ამიერ-კავკასიის მესამე კოოპერატიულ კონფერენციაზე

შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, რომ მე, რომელსაც არასოდეს არ მიმუშავია კოოპერაციის დარგში, ვბედავ მივაქციო თქვენი—ძველ კოოპერატორების—ყურადღება კოოპერაციის საკითხებზე. ამხანაგებო, მე ბევრს არ ვილაპარაკებ კოოპერაციის მნიშვნელობაზე ჩვენი კავშირისათვის, მხოლოდ ნებას მივცემ ჩემს თავს მოგაგონოთ ზოგიერთი ადგილები ამხ. ლენინის წერილიდან, რომელიც არის მისი სიკვდილის წინ დატოვებული ანდერძი. ილიჩი სწერდა თავის წერილს, როდესაც ის ლოგინში იწვა. არსად ასეთი გარკვეულობით და სიცხადით არავის არ გაუთვალისწინებია ჩვენი კოოპერაციის ამოცანები და გზები მის განხორციელებისათვის, როგორც ეს მოიმოქმედა ვლადიმირ ილიჩმა თავის წერილში. აი რას სწერს ის:

„ჩვენში ნამდვილათ, რადგან სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასის ხელში იმყოფება, რადგან ამ ხელისუფლებას ეკუთვნის წარმოების ყველა საშუალებები, ჩვენში ნამდვილ ამოცანათ დარჩა მცხოვრებთა კოოპერატიული შეკავშირება. თუ მოხერხდა მცხოვრებთა მაქსიმალური შეკავშირება კოოპერატიულათ, ამით მიზანს მიაღწევს ის სოციალიზმი, რომელიც წინათ სამართლიან დაცინვასა და უყურადღებობას იმსახურებდა იმ ხალხისაგან, რომელიც დარწმუნებული იყო სამართლიანად კლასიური ბრძოლის, პოლიტიკური ხელისუფლებისთვის ბრძოლის და სხვადასხვა აუცილებლობაში. და აი ყველა ამხანაგებს არ აქვთ წარმოდგენილი ის, თუ რა გიგანტიური, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენთვის რუსეთის მცხოვრებთა კოოპერატიულათ შეკავშირებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკით ჩვენ დაუთმეთ გლეხებს, როგორც ვაჭარს, დაუთმეთ კერძო ვაჭრობის პრინციპს. სწორედ აქედან გამომდინარეობს (წინააღმდეგ იმისა, როგორც ფიქრობენ) კოოპერაციის უდიდესი მნიშვნელობა. მართალი რომ ვთქვათ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს რუსეთის მოსახლეობის ფართო და ღრმა კოოპერატიული შეკავშირება, არის ის, რაც ჩვენ გვესაჭიროება, იმიტომ, რომ ჩვენ ახლა ვიპოვეთ ის საფეხური კერძო სავაჭრო ინტერესის შეერთებისა და სახელმწიფოს მიერ მისი შემოწმებისა და კონტროლისა, საფეხური მისი დამორჩილებისა საერთო ინტერესებისადმი, რომელიც წარმოადგენდა წინათ დაბრკოლებას ბევრი და ბევრი სოციალისტებისათვის. და მართლაც, რომ სახელმწიფოს ხელში არის წარმოების ყველა მსხვილი საშუალებები, რომ პროლეტარიატის ხელში არის სახელმწიფო ხელისუფლება, რომ ამ პროლეტარიატს კავშირი აქვს დაბეჩავებული მრავალმილიონიან წვრილ და უღარიბეს გლეხობასთან, რომ უზრუნველყოფილია ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობა გლეხობაზე და სხვ.—განა ეს არ არის ყველაფერი ის, რაც საჭიროა იმისთვის, რომ კოოპერაციით, მარტო კოოპერაციით, რომელსაც წინათ ჩვენ დავცინოდით, როგორც ვაჭრულს, რომლის დაცინვის საბუთი ნაწილობრივ გვაქვს ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებშიც აგრეთვე, განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლათ? ეს კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი და საკმაო, რაც საჭიროა მის ასაშენებლათ.

აი სწორეთ ეს მდგომარეობა ვერაა დაფასებული სათანადოთ ბევრი ჩვენი პრაქტიკული მუშაკების მიერ. ჩვენში კოოპერაციას უყურებენ ზერელეთ, და ვერ ხედავენ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კოოპერაციას ჯერ ერთი პრინციპიალური მხრით (წარმოების საშუალებები სახელმწიფოს ხელშია), მეორე მხრით, ახალ წესებზე გლეხობისათვის უფრო მისაწვდომ, ადვილ და გასაგები გზით გადასვლისათვის.

ეს კი, მთავარია. ერთი საქმეა ფანტაზიორობა სხვადასხვა მუშათა გაერთიანების მოწყობის შესახებ სოციალიზმის ასაგებათ, მეორე საქმეა ამ სოციალიზმის აგების პრაქტიკულათ შესწავლა ისე, რომ ყოველ წვრილ გლეხს შეეძლოს ამ აგებაში მონაწილეობის მიღება. ამ საფეხურს მივაღწიეთ ჩვენ ახლა. ეჭვს გარეშეა ის, რომ ჩვენ ძლიერ ცოტას ვსარგებლობთ მიღებულ შედეგებით.

თითეული საზოგადოებრივი წყობილება იშობა განსაზღვრული კლასის ფინანსიური დახმარებით მხოლოთ. არ ღირს იმის გახსენება, თუ რამდენი ასი მილიონი მანეთი დაჯდა „თავისუფალი“ კაპიტალიზმის წარმოშობა. ახლა უნდა შევიგნოთ ჩვენ და საქმეთ ვაქციოთ ის, რომ ამ ჟამათ ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყველაზე მეტად, არის კოოპერატიული წყობილება. მაგრამ მას მხარი უნდა დავუჭიროთ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. არაა საკმარისი, რომ ამ მხარის დაჭერაში ვიგულისხმოთ ჩვენ მხარის დაჭერა ყოველი კოოპერატიული საქმიანობისათვის, ამ მხარის დაჭერაში უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ მხარის დაჭერა ისეთ კოოპერატიულ საქმიანობისათვის, სადაც ნამდვილათ იღებენ მონაწილეობას მცხოვრებთა ნამდვილი მასები. პრემიის მიცემა იმ გლეხისათვის, რომელიც მონაწილეობას იღებს კოოპერატიულ საქმიანობაში, ეს უეჭველათ სწორი და მართალი ფორმულაა, მაგრამ ამასთანავე ამ მონაწილეობის მიღების შემოწმება, ამ მონაწილეობის ღირსების და შეგნების შემოწმება, აი რაში მდგომარეობს საკითხის უმთავრესი მნიშვნელობა. როცა კოოპერატორი მიდის სოფელში და აწყობს იქ კოოპერატიულ დუქანს, მოსახლეობა ამაში მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ ის იხელმძღვანელებს რა თავისი სარგებლობით, დაიჩქარებს მასში მონაწილეობის მიღებას.“

მე ვფიქრობ, ზედმეტია ბოდიშის მოხდა ამ გრძელი ციტატისათვის. ზედმეტია დიდი მასწავლებლის დაწერილის განმარტება—აქ ყველაფერი ნათელია და გასაგები. ჩვენი ამოცანაა მივსდიოთ ილიჩის აღთქმებს მათი ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების დროს, და აი, ამხანაგებო, თუ ასეთი თვალსაზრისით მიუდგებით ჩვენს კოოპერაციას, განა ბევრ თქვენგანს შეუძლია სთქვას, რომ ნამდვილად ვასრულებთ ილიჩის აღთქმას? ავიღოთ კოოპერაცია ჩვენში, ამიერ-კავკასიაში: როდესაც მე ხანდახან ვაცხადებდი, რომ ჩვენ არა გვაქვს კოოპერაცია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ბევრი ჩვენი კოოპერატორები გაჯავრებული მეკამათებოდენ. მაგრამ საქმე ამაში კი არ არის. რას წარმოადგენდა ნახევარი წლის წინად ჩვენი კოოპერაცია? იგი შორს იდგა გლეხთა მასების ცხოვრებასა და მოთხოვნილებისაგან. სოფლის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებებში შეიძლებოდა გეშოვათ მაღალი ხარისხის პუდრი, სხვადასხვაგვარი „დუხები“ და ამისთანა რამეები, მაგრამ იქ არ მოიპოვებოდა გლეხის ოჯახისათვის საჭირო საქონელი. ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოების ცხოვრებაში არ იღებდენ მონაწილეობას, არა მარტო გლეხთა მასები, არამედ ჩვენი ამხანაგებიც, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება გავლენა მიეხდინათ მათზე და განზე იყვნენ გამდგარი. დღეს სულ სხვას ვხედავთ. უეჭველია ჩვენ დღეს მოწმენი ვართ ჩვენი დაბალი საფეხურის კოოპერაციის გამოცოცხლებისა. ჩვენს სოფლის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებებში უმთავრესად მოიპოვება ის საქონელი, რაც საჭიროა გლეხის ოჯახისათვის, როგორც მაგალითად: მარილი, ნავთი, ფართალი, ძაფი, მართალია ყველაფერი ეს არა საკმარისი რაოდენობით, მაგრამ მაინც მოიპოვება. ფასებიც ხელმისაწვდომია. ალაგ-ალაგ წარმატებით იდევნებიან კერძო ვაჭრები. მაზრაში მომუშავე ამხანაგები გატაცებული არიან კოოპერატიულ მუშაობით—სწარმოებს მცირე რაოდენობით წევრთა ჩაწერა. საერთოთ კოოპერაციის აღორძინებისაკენ მიმართული მუშაობა, ჩვენ პარტყრილობების დადგენილებათა საფუძველზე — მუშაობა სიმძიმის ცენტრის დაბალი საფეხურის კოოპერაციაზე გადასატანად სწარმოებს ზოგიერთ ჩვენი კოოპერატივების მხრივ არასაკმარისი დახმარებით.

კურსის აღება დაბალ საფეხურის კოოპერაციაზე სავსებით და მთლიანად გამართლებულია.

კიდევ მეტ შედეგებს მივაღწევთ ჩვენი კოოპერატიული ზედა ფენების სათანადო ხელმძღვანელობის დროს. მაგრამ მიუხედავათ ყველაფერ ამისა, ჩვენ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი კოოპერაცია ჯერ კიდევ არა თუ შორს არის იმ კოოპერაციისაგან, რომლის შექმნაც გვიანდერძა ამხ. ლენინმა, არამედ, ვიტყვით პირდაპირ, ჯერ კიდევ საკმაოდ სერიოზულად არ შეგვითვისებია საკითხის ლენინისტურად დაყენება. ჯერ კიდევ ჩვენი სამაზრო სამომხმარებლო საზოგადოებები წარმოადგენენ მხოლოდ იაფ დუქნებს, რომლებიც ასე თუ ისე აწოდებენ გლეხს ზოგიერთ საქონელს. რა თქმა უნდა ეს ჩვენი გამარჯვებაა. რა თქმა უნდა, მოკლე ხნის განმავლობაში არავის არ შეეძლო გაეკეთებია ის, რისთვისაც ილიჩი საჭიროთ სთვლის ათ-ოც წლიწადს. ეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი ასეა. მაგრამ თითეულმა ჩვენ მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა უნდა დაგვაახლოვოს ჩვენ ილიჩის ამოცანის გადაჭრასთან.

არავითარი მტკიცება არ უნდა იმას, რომ გლეხთა ფართო მასებზე ჩვენი პარტიის გავლენის ზრდა ცხრამეთედით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მივაწოდებთ ჩვენ სოფელს მრეწველობის პროდუქტებს. თუ ჩვენ მოვახერხებთ მივაწოდოთ გლეხობას კარგი ღირსების საქონელი საკმაო რაოდენობით და კერძო ვაჭარზე უფრო იაფად, თუ ჩვენ მოვახერხებთ გლეხთა მეურნეობის პროდუქტები რეალიზაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, მაშინ აღარ იქნება საჭირო გლეხისათვის ბურჟუაზიისთან შედარებით საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობის მტკიცება. ორივე ეს ამოცანა უნდა შეასრულოს ჩვენმა კოოპერაციამ. გლეხობა იმსჯელებს ჩვენი მუშაობის შესახებ იმის მიხედვით, თუ რას მოვუტანთ მას და რამდენად კოოპერატივის საქონელი უფრო იაფი და უკეთესი იქნება, ვინემ კერძო ვაჭრისა. რამდენი შრომა დაგვჭირდა ჩვენ იმისათვის, რომ შეგვეტანა სოფელში თუნდაც ნავთი, რომელიც ჩვენ ასე ბლომად მოგვეპოვება. ამისათვის საჭირო დარჩა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მდივნის ამხ. იაროსლავსკის წერილიც კი. ეხლა კი ჩვენ, ცხადია, გვაქვს მთელი რიგი მოხერხებულად მოწყობილი დუქანი—კოოპერატივი. მაგრამ მასში არ არის მასების აქტივობა, ხოლო ამხ. ლენინი აშკარად ამბობდა, რომ **საჭიროა აქტიურად ჩაბმულ იქნეს კოოპერაციის აღმშენებლობაში გლეხთა მასა, საჭიროა, რომ თვითეული წვრილი გლეხი მონაწილეობას იღებდეს მასში. ილიჩი ამბობს, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ ისეთ კოოპერაციას, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ გლეხთა მასები.** ამიერ-კავკასია გლეხური ქვეყანაა. აი ამიტომ გლეხობის, როგორც კოოპერაციის აქტიური წევრის ჩაბმის ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით სდგას ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციების წინაშე. როგორ მოვახერხოთ ეს? აი საკითხი. ამის გაკეთება ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება. აქ საჭიროა ხანგრძლივი სისტემატიური მუშაობა. ერთ-ერთ ჩვენს მაზრაში საკითხი გადასწყვიტეს უბრალოდ: აიღეს და შეუწყვიტეს კოოპერატივიდან საქონლის მიცემა არა წევრებს, ხოლო წევრებად 90,000 მცხოვრებიდან მხოლოდ 2000 ითვლება. ასეთი გადაწყვეტილებით ამხანაგები ფიქრობდენ, რომ აიძულებდენ გლეხს ჩაწერილიყო კოოპერაციაში, მაგრამ ცხადია არაფერი გამოვიდა, გარდა გლეხების უკმაყოფილებისა იმის გამო, რომ კოოპერატივი მათ არ აძლევს საქონელს. კოოპერაციის არსებობის მთელი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ის მოედოს გლეხთა ფართო მასებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მის აღმშენებლობაში. საჭიროა, რომ ყოველი კოოპერატორი ანგარიშს აბარებდეს თავის წევრებს. განა ეს ასე ხდება? არა. ეს ნაწილობრივ სრულდება ქალაქებში და ისიც არა მაინცდამაინც ფხიზლად. ამხ. ლენინი სწერს, რომ მთელი გლეხთა მოსახლეობის კოოპერაციაში ჩაბმის ამოცანა არც ისე ადვილია და მისი შესრულება შეიძლება მხოლოდ ათეულ წლობით, მაგრამ ცალკე ფედერაციებში ეს ვადა შეიძლება და უნდა საგრძნობლად შემცირდეს მუშაობის უფრო სისწორით დაყენების და საჭირო ენერგიის გამოჩენის შემთხვევაში. ცალკე წვრილ რესპუბლიკებისათვის კიდევ უფრო მეტად შეიძლება ამ ვადის შემცირება, მოსახლეობის კულტურული დონის მიხედვით; ცალკე მაზრებში კი პირდაპირ სასწაული მოხდენა შეიძლება ერთი-ორი წლის განმავლობაში. მაგრამ ამისათვის საჭიროა მეტი მოქნილობა და მეტი ყურადღება საქმისადმი. ავიღოთ საპაიო **გადასახადი. ის განსაზღვრულია 5** მან. 50 კაპ. რაოდენობით, შეიძლება ნაწილობრივ შეტანა ბევრმა ეს არ იცის), მაგრამ ერთდროულად უნდა შეტანილ იქნეს 2 მან. 50 კაპეიკი. ეს კი ყოველ გლეხს არ შეუძლია რატომ არ უნდა იქნეს აქ მეტი მოქნილობა, მაგალითად, განაწილებულ იქნეს მთელი ეს გადასახადი მთელი წლით, 50 კაპეიკი თვეურად.

ავიღოთ ეხლა შეღავათი კოოპერაციის წევრებს. ამჟამად ეს სრულებით მოუწესრიგებელია, გამოურკვეველია, თვით კოოპერატივის წევრიც ვერ ამჩნევს ამ შეღავათს, ხოლო როგორ უნდა შეამჩნიოს ეს მისმა მეზობელმა, კოოპერატივის არა წევრმა. უნდა ვაგრძნობინოთ გლეხს, კოოპერატივის წევრს, რომ ის იგებს მით, რომ წევრია კოოპერაციის.

„კუდები“, რომელიც ორი-სამი წლის წინ ყოველდღიური მოვლენა იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეხლა გლეხს კერძო ვაჭრისაკენ აბრუნებინებს პირს, ხშირად კოოპერატივის საქონლის სიიაფეც ვერ ხიბლავს მას, ვინაიდან ამ სიიაფით სარგებლობისათვის საჭიროა საათობით [illegible] და, მას კი ეჩქარება სახლში, რომელიც ხშირად ძალიან დაშორებულია კოოპერატივიდან. ზრდილობიან მოპყრობას კოოპერაციაში მომუშავე ამხანაგების მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს; ეს კი არ არის.

მე ვიცი, რომ ზოგიერთი აქ მყოფი კოოპერატორი—ამხანაგები იტყვიან:—რატომ იწუხებ თავს შენ ან ჩვენ რატომ გვაიძულებ ვისმინოთ ანბანური ჭეშმარიტებანი.

დიახ, ამხანაგებო, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ სამწუხაროდ ძალიან ხშირად ამას ვერ ვხედავთ ჩვენს კოოპერატივებში, ეს კი აუცილებელია იქ. ამხანაგებო, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმაზე, რომ ჩვენი ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებათა უმრავლესობაში ამ ჟამად მოიპოვება პირველი მოთხოვნილების მხოლოდ რამოდენიმე საგანი: მარილი, ნავთი, ჩითი, მაგრამ გლეხს არა მარტო ეს ესაჭიროება, მას უნდა საპონი, ცული, ლურსმნები, ნალები, ცელი, ბაწარი, რკინა, ლაფათქები, ჩუსტები და სხ. ყველა ამ საქონლის უქონლობის შემთხვევაში, ძნელია გლეხთა ფართო მასების ჩაბმა კოოპერაციაში.

ყველაფერს ერთად ჩვენ ვერ შევსძლებთ, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი ეს ჩვენს კოოპერატიულ დუქნებში უნდა იყოს. კოოპერატივში უნდა იყოს ყველა საქონელი, რომელიც კი ესაჭიროება საგლეხო მეურნეობას. რატომ ჩვენ ეხლა არ უნდა წამოვაყენოთ ამოცანად გლეხების მომარაგება: ცულით, ლურსმნებით, ნალებით, ლაფათქებით, ჩუსტებით, როგორც თავის დროზე წამოვაყენეთ ამოცანად ჩითის, მარილის, ნავთის მიწოდება. აღნიშნული საქონლით ჩვენი დაბალი საფეხურის კოოპერაციის მომარაგების მოწყობის ამოცანა ჩვენი ცენტრალური კოოპერაციის საქმეა. როგორი იქნება როლი ჩვენი კოოპერატიული გაერთიანების „ზაკსოიუზის“, რომელსაც ჩვენ ვქმნით?

საჭიროა თუ არა ის საზოგადოთ? ხომ არ ეწინააღმდეგება ახალი ცენტრის შექმნა სიმძიმის ცენტრის დაბალი საფეხურის კოოპერაციაზე გადატანის პრინციპს? ხომ არ იქნება ის ზედმეტი, ბიუროკრატიული ინსტანცია? ის ხელს ხომ არ შეუშლის ნაციონალური ცენტრების განმტკიცების ზრდას? აი საკითხები, რომლებიც უნდა დაუსვას თავის თავს თვითეულმა ამხანაგმა. ყველა ამ საკითხებზე თათბირმა ამომწურავი და ნათელი პასუხი უნდა გასცეს, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ახალი გაერთიანების ამოცანები იქნება შემდეგი: 1) გაერთიანებულ ამიერ-კავკასიის მთავრობის წინაშე ამ.-კავკ. კოოპერაციის საერთო ინტერესების დაცვა, 2) ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მუშაკთა პერიოდულ თათბირების მოწყობა საერთო საკითხების გადასაჭრელად კოოპერაციის აღორძინების შესახებ ამიერ-კავკასიაში, 3) რესპუბლიკანურ კოოპერაციის იდეიური ხელმძღვანელობა, 4) კურსის აღება, თავის თავზე ცენტრალურ ტრესტების, სინდიკატების წარმომადგენლობის მიღება მთელს ამიერ-კავკასიაში, 5) იაფი კრედიტის გამოძებნა რესპუბლიკანურ კოოპერატივებისათვის და მათთვის დახმარების გაწევა საკუთარი გამოცდილებით, 6) მას არავითარი შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს თავისი საწყობები და სავაჭრო პუნქტები. ერთი სიტყვით, ის არ უნდა იქცეს სავაჭრო სახლად და ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდეს ნაციონალურ გაერთიანებებს. ის უნდა ამტკიცებდეს და ანვითარებდეს დაბალი საფეხურის კოოპერაციას. ის კი არ უნდა ეჯიბრებოდეს ნაციონალურ გაერთიანებებს, არამედ ეხმარებოდეს მათ. ასე წარმოგვიდგენია ჩვენ მომავალი „ზაკსოიუზის“ ამოცანები და ამ ამოცანების განსახორციელებელ მუშაობაში პარტია აღმოუჩენს მას ყოველმხრივ დახმარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

დღეს, 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სეკრეტარიატში მოწვეულია

**თბილისის კომიტეტის
პრეზიდიუმის სხდომა**

სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატ. გამოცხადება
თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ამას წინად შესდგა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც გადაჭრა მთელი რიგი მნიშვნელოვან საკითხებისა.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება

მოისმინა რა ამხ. მიასნიკოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის და სამდივნოს მოქმედების შესახებ, პლენუმმა მოიწონა უკანასკნელის მუშაობა, გამოიტანა მთელი რიგი კონკრეტიულ გადაწყვეტილებათა პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და წინადადება მისცა რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს სასტიკად დაიცვან მე-13 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი და თანდათანობით გაატარონ ცხოვრებაში ისინი. პლენუმმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობის საორგანიზაციო გეგმა მახლობელ დროსათვის.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მოხსენება.

ამხ. ლომინაძის მოხსენებით საქართველოს კომპარტიის ცეკას მუშაობის შესახებ—პლენუმმა მოიწონა ცეკას მუშაობა, საჭიროთ აღიარა მიღებულ იქნან პარტიაში ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის წევრები ამიერ-კავკასიაში, რომლებიც მუშაობდენ არალეგალურად და წინადადება მისცა საქ. კომპარტიის ცეკას გადასინჯოს საკითხი მიწის რეფორმის შესახებ აფხაზეთში.

ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლების შესახებ

საკითხი უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ პირველად განხილული იყო 30 ივნისს ამიერ-კავკასიის სახალხო განათლების კომისართა თათბირის მიერ, შემდეგ ეს საკითხი განიხილა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ 9 ივლისს და უკვე საბოლოოდ ეს საკითხი გადაჭრილ იქნა ამ უკანასკნელ პლენუმში.

საკითხი ა.-კავკ. უმაღლეს სასწავლებელთა რაიონებად დაყოფის შესახებ გადასცა დეტალურად შესასწავლად ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს. გადასწყდა დახურულ იქნას ეკონომიური განყოფილებანი ტფილისის და ბაქოს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტებთან.

სასურველად იქნა ცნობილი ახალ აკადემიურ წლის განმავლობაში შემცირებულ იქნას მიღება უმაღლეს სასწავლებლებში და გადიდებულ იქნას მუშფაკებზე იმ მიზნით, რათა უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულთა რიცხვი უდრიდეს მუშათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

სტიპენდიების რიცხვიდან ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში პლენუმის მიერ დამტკიცებულია სტუდენტთა საერთო რიცხვის 10 პროც. აქედან 75 პროც. უნდა მიეცეს მუშათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს.

გადასწყდა წელს არ გაიგზავნოს ახალი სტუდენტები საბჭოთა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

სტიპენდიის რაოდენობა—საბჭოთა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განისაზღვრება 50 მანეთით, ხოლო ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებისათვის 25 მანეთით. დაევალა რესპუბლიკების ცეკას მოახდინოს უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური წმენდა და განსაზღვროს წმენდის წესრიგი.

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის შესახებ.

მოისმინა რა ამხ. გუსეინოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის შესახებ, პლენუმმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1) აღნიშნავს რა ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსავლის შემცირებას, როგორც საერთო საკავშირო საშუალებათაგან დოტაციის შემცირების, ისე პირდაპირი გადასახადების სიდიდეს და მის ნარჩენებს, პლენუმი სავსებით აუცილებლად სთვლის:

ჩატარებულ იქნას რესპუბლიკებში ენერგიული კამპანია ყველა პირდაპირ გადასახადების ნაშთების (недоимок) ლიკვიდაციის მოსახდენად.

მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაც შეიძლება მეტი ნაწილი აკრეფილ იქნას 1 ოქტომბრამდე.

გადასინჯულ იქნას ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ შემცირებული ხარჯები, რომელიც ნავარაუდევია აგვისტოსა და სექტემბრისათვის იმ ანგარიშით, რათა ამის შემდეგ გახსნილი წარმოებანი უზრუნველყოფილნი იქნან საშუალებებით 1 ოქტომბრამდე.

გაძლიერებულ იქნას კონტროლი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში, და გაბედული ზომები იქნას მიღებული საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ დამნაშავე უწყებათათვის კრედიტების მოსპობის საშუალებით.

2) მომავალ ბიუჯეტის შედგენის დროს:

გამორკვეულ იქნას სავსებით ყველა საშემოსავლო შესაძლებლობანი როგორც თვით ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, ისე მასში შემავალ რესპუბლიკებში; შეტანილ იქნან ეს უკანასკნელები ბიუჯეტის პროექტში, უზრუნველყოფილ იქნას მისი მაქსიმალურად დაფარვა და ამით შემცირდეს დეფიციტის შესაძლებლობა.

შექმნილ იქნას ხელფასის ფონდი, მდგომარეობის მაქსიმალურად გაუმჯობესებით და არავითარ შემთხვევაში არ იქნას შემცირებული მინიმუმი 6 მანეთზე ქვევით ცხრილის 1:8 მიხედვით.

კატეგორიულად მოეთხოვოს ყველა უწყებებს წარმოადგინონ მათი ფაქტიური შტატების ვრცელი ნუსხა.

გაძლიერებულ იქნას რესპუბლიკის ბიუჯეტებში სახ. ჯანმრთელობის და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატების მონაწილეობა და დაყენებულ იქნან ისინი უშუალოთ სახ. განათლების კომისარიატების შემდეგ.

გამოყოფილ იქნას საგანმანათლებლო ხარჯები ცენტრიდან სუბსიდიების მისაღებად იმ საშუალებიდან, რომელიც გადადებულია ადგილებისათვის.

ამიერ-კავკასიის და ეროვნულ სასოფლო-სამეურნეო ბანკების მოქმედების შესახებ.

ამ საკითხზე მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკების მოხსენებები. გადასწყდა დაარსდეს არსებულ 4 ბანკის ნაცვლად ერთი ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში გახსნილ იქნას „რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო კრედიტის" განყოფილებანი, რომლებიც შედიან ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში და სავსებით ექვემდებარებიან მას. ამავე დროს საჭიროთ იქნა ცნობილი, რათა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განყოფილებების მუშაობა მიმდინარეობდეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების ხელმძღვანელობით.

ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების კონფერენცია

მესამე დღე

(საღამოს სხდომა
კამათი ამხ. რახმანის მოხსენების გარშემო)

საღამოს სხდომაზე იმართება კამათი ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების თბილისის საბჭოს მოქმედების შესახებ. კამათში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა პიონერები პოლიურიუკი, ალიევი, შტეინბერგი და სხვები. ახალგაზრდები აღნიშნავენ საბჭოს მუშაობის ნაკლს, როგორც სოციალური აღზრდის სფეროში, ისე საკლუბო და სასპორტო მუშაობაში. ახალგაზრდა პიონერები განსაკუთრებით ეხებიან სოფლად მუშაობას და მოითხოვენ მომავალში უფრო მეტ ინტენსიურ მუშაობის გაჩაღებას გლეხის შვილებს შორის. აგრეთვე ოპონენტი პიონერები საჭიროთ სთვლიან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ორგანიზაციის საქმეს სკოლებში, დღემდე ჯგუფები მოწყობილი არიან უმთავრესად საწარმოო პრინციპის მიხედვით ცალკე საწარმოო და სამეურნეო დაწესებულებებთან. ამიერიდან ყოველ შრომის სკოლასთან უნდა გაჩაღდეს სათანადო მუშაობა და მოზარდი თაობა განსაკუთრებით მისი მშრომელი ნაწილი მთლიანად უნდა დაუკავშირდეს ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფებს. ახალგაზრდა ოპონენტები ეხებიან აგრეთვე სოციალურ აღზრდის მუშაობის ხასიათს და საჭიროდ სცნობენ, რომ ამ დარგში მომავლისათვის გამომუშავებული იქნეს უფრო გეგმაშეწონილი ხაზი და მტკიცედ განსაზღვრული პროგრამა.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე თანამოხსენებანი ადგილებიდან მანგლისის, კოჯორის, ბელიკლუჩის, ავჭალის ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების მუშაობის შესახებ.

მოხსენებათა დასასრულს კონფერენცია იღებს რეზოლიუციას, სადაც იგი იწონებს საქალაქო საბჭოს მოქმედებას.

უპატრონო ბავშვთა შესახებ

მორიგ მოხსენებას უპატრონო ბავშვების და მათ შორის მუშაობის შესახებ აკეთებს **გონიევი.**

მომხსენებელი, ეხება რა მოკლეთ უპატრონო ბავშვების მდგომარეობას, იხილავს გამომრკვევ მიზეზებს. აღნიშნავს რა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათ მათ უზრუნველსაყოფად, არკვევს ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფების დამოკიდებულებას მათთან. ბავშვთა საბჭოების მოქმედების ერთი მთავარი ამოცანათაგანი უნდა გახდეს უპატრონო ბავშვების ორგანიზაციებში ჩაბმა და მათ შორის სოციალურ აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება. ახალგაზრდა მომხსენებელი ეხება უპატრონო ბავშვთა შორის მუშაობის სპეციალურ პირობებს და მოითხოვს მომავალი საბჭოსაგან გეგმაშეწონილ პროგრამის გამომუშავებას ამ დარგში.

მეოთხე დღე

მომავალი მუშაობის შესახებ

(მომხსენებელი ამხ. რახმანი)

უჩვენებს რა მოკლე მიმოხილვას წარსული მუშაობის ხასიათს, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მომავლისათვის კოლექტივების თვითმოქმედების და ინიციატივის ამაღლება. ნორჩი ლენინელის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შემთხვევითი ხასიათი უნდა შეიცვალოს სისტემატიური და გეგმაშეწონილი მონაწილეობით. ამ მიზნის განხორციელება დამოკიდებულია კოლლექტივის შესაფერ ხელმძღვანელობაზე. კომკავშირის პასიური წევრების მაგიერ კოლექტივებში უნდა იგზავნებოდენ აქტივისტები, რომელთაც შეეძლებათ ბავშვთა პსიქოლოგიისადმი შესაფერი მიდგომა და ექნებათ სათანადო გამოცდილებაც.

ნორჩ ლენინელთა მონაწილეობის გასაძლიერებლად ორგანიზაციულ მუშაობაში, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციებში შეყვანა და მათი უშუალო მონაწილეობა. შემდეგ მომხსენებელი ეხება, თუ როგორ უნდა ხდებოდეს კომჯგუფების ზრდა მომავალში და რა ხასიათის მუშაობა უნდა სწარმოებდეს სოციალური აღზრდის სფეროში. მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დასასრულ წაკითხულ იქნა თეზისები მომავალი მუშაობის შესახებ.

ეკონომიური ცხოვრება

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

პურის შესასყიდათ.

ა|კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ა-კავკასიაში მომქმედ საკრედიტო დაწესებულებათ გადასდონ თანხები კოოპერაციისათვის, რომელსაც დაევალება ამ მიცემულ თანხებით პურის მოსამარაგებლად კამპანიის ჩატარება. უმ. ეკონ. საბჭომ ეს ნაბიჯი გადადგა იმ მიზნით, რომ დაიცვან გლეხობა კერძო მყიდველებისგან, რომელნიც შეეცდებიან ჩალის ფასად ჩაიგდონ გლეხის ნამუშევარი.

ღვინის სპირტის ყიდვა-გაყიდვისათვის.

უმ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა საქარ. ს. მ. უ. საბჭოს ითავოს სპეციალური თათბირის მოწვევა ღვინის სპირტის რექტიფიკაციის (გაწმინდა—გასუფთავების) და ყიდვა-გაყიდვის საკითხების მოსაგვარებლადა. თათბირი მოწვეული უნდა იქნეს არა უგვიანეს 15 აგვისტოს. თათბირში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული უნდა იქნენ ა.-კ. ფინ. სახ. კომის., რესპუბლიკანური ს. მეურ. საბჭოების, მიწად.-მოქ. სახ. კომისარიატების და ა.-კ. სხვა ამ საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

უპატრონო ბავშვთა მოსავლელად.

უმ. ეკ. საბჭომ საქ. განათ. სახ. კომს მისცა 12 ათასი მანეთი უპატრონო ბავშვთა მოსავლელად.

მატყლის ვაჭრობის მოსაწესრიგებლად.

უმ. ეკონ. საბჭომ დაამტკიცა პროექტი ა|კ. ტერიტორიაზე 1924 წელს მიღებულ მატყლზე ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ.

დაწესებულებათა შტატის დამტკიცება.

უმ. ეკონ. საბჭომ დაამტკიცა საშტატო კომისიის მიერ მიღებული შტატი ა|კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატისთვის, ა|კ. გეგმათა სამმართველოსთვის და ა|კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომის შტატი შესდგება 75 კაცისგან. გეგმათა სასამართლოს 31 კაცისგან და შრომის სახ. კომის. 33 კაცისგან. შტატი დამტკიცებულია ა|წ. 1 აგვისტოდან.

ა|კ. ფინ. სახ. კომ. წინადებად მიეცა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატისა და გეგმათა სამმართველოსთვის გაიღოს თანხა თანამშრომელთა ფაქტიური რიცხვის მიხედვით.

ზემო სვანეთის ბიუჯეტი.

უმ. ეკონ. საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ზემო სვანეთის ადგილობრ. ბიუჯეტისათვის 79.37 მანეთის რაოდენობით.

სესხის გადახდის ვადის გაგრძელება

საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა უმ. ეკონ. საბჭოს წინაშე იმ სესხის გადახდის ვადის გაგრძელების შესახებ, რომელიც მიღებული აქვს ქუთაისის მაუდის ქარხნის მოსაწყობად. უმ. ეკონ. საბჭომ ს. მ. უ. ს. გაუგრძელა ა|კ. ფინ. სახ. კომიდან აღებული სესხის (169.339 მანეთი) ვადა.

მოსავლის გამომრკვევი საექსპერტო კომისია

უმ. ეკონ. საბჭომ გამოიტანა დადგენილება ა|კ. საექსპერტო კომისიის მოწყობის შესახებ—მოსავლის მდგომარეობის თვალყურის სადევნებლად და გამოსარკვევად.

დებულება ა|კ. გეგმათა სამმართველოს შესახებ

უმ. ეკონ. საბჭომ მიიღო დებულება ა|კ. გეგმათა სამმართველოს შესახებ და წარუდგინა ა|კ. სახ. კომ. საბჭოს დასამტკიცებლად.

ხორცის ბაზრის მოწესრიგება

ა.-კ. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მოახდინა ხორცის ბაზრის გამოკვლევა საკავშირო მასშტაბით.

გამოკვლევით მიღებული ცნობების თანახმად, ა.-კავკასიის ხორცის ბაზარზე უკანასკნელ დრომდე ბატონობდენ კერძო ვაჭრები, რის გამოც ხორცის ბაზრის მოწესრიგების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კერძო კაპიტალს, რომელზედაც სახელმწიფოს შეეძლო მხოლოდ ადმინისტრატიული ზეგავლენის მოხდენა. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გაითვალისწინა, რომ ადმინისტრატიული ზომებით შეუძლებელია ამ საკითხის მოგვარება, გადასწყვიტა ხორცის ბაზარზე აქტიური მონაწილეობით და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების ამ საქმეში ჩაბმის საშუალებით, ხელში ჩაიგდოს ხორცის ბაზარი. ამ მიზნით შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა შექმნა სააქციონერო საზოგადოება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებდა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო კაპიტალი.

ამ საზოგადოების წესდება ა.-კავკ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ა.-წ. ივლისის დამლევს.

საზოგადოების დამფუძნებელნი არიან: ა.-კ. ფინ. სახ. კომ., ქალაქის აღმასკომი, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, წარმოკავშირი და მეცხვარეთა საზოგადოება „ბირლიკი".

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მ. ჩხეიძე, ხოლო წევრებად ვ. წულუკიძე და ვართანიანი.

საზოგადოებას განზრახვა აქვს პირუტყვის ყიდვა აწარმოოს ოსმალეთში, სპარსეთში, ყარაჩაეთში და თვით ამიერ-კავკასიაში.

პირველ რიგში საზოგადოება ხორცს მიაწვდის არმიას, შემდეგ სახელმწიფო ორგანიზაციებს, და დასასრულ კერძო ბაზარს. მთავარ მომხმარებელთა (არმიის და სახელმწიფო ორგანოების) დაპყრობით, საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცემა მოაწესრიგოს ხორცის ფასები ბაზარზე.

პირუტყვის მომარაგება დაიწყება ამ დღეებში არმიისა, სახელმწიფო დაწესებულებებისა და მცხოვრებთათვის. ხორცის მიწოდებას საზოგადოება შეუდგება სექტემბრის თვიდან.

კოოპერაცია

წარმოკავშირის მუშაობა მაის-ივნისში

(დასასრული*)

წარმოკავშირის აპარატი.

წარმოკავშირის მუშაობის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა მისი აპარატიც. 1 მაისისათვის მუშა-მოსამსახურეთა შტატი უდრიდა 80 კაცს, 1 ივლისისთვის 128, გამგეობაში 5 წევრი იყო, საერთო განყოფილებაში (კანცელარია, სამეურნეო ნაწილი, წარმომადგენლობა მოსკოვში) 24, საორგანიზაციო განყ. 20, სავაჭრო განყ. 51, აგრიკულტურულ განყ. 17 და საფინანსო-საანგარიშო განყ. 16. ამ რიცხვიდან 20 კაცი მოკავშირე ორგანიზაციების და წარმოკავშირის საერთო ხარჯზე ინახება. გარდა ამისა ინსტრუქტორთა შტატის შესანახად ორგანიზაციები იხდიან ყოველ ოპერაციაზე 1|2 პროცენტს.

ვინაიდან დღეს შესაძლებელი გახდა წარმოკავშირის მოქმედების მტკიცე გეგმის შედგენა, გამგეობის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია მტკიცე შტატის შესადგენად, მოსამსახურეთა კვალიფიკაციის შესამოწმებლად და სხვ., რომლის შემდეგ, გამგეობის აზრით, შტატი მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

1924 წლის სამოქმედო გეგმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარსული მუშაობის და მასზე დაკისრებულ ამოცანების მიხედვით წარმოკავშირს აქვს განზრახული და ნაწილობრივ უკვე ანხორციელებს შემდეგ ღონისძიებებს ჩვენი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

1) სასოფლო-მეურნეობის ცალ-ცალკე დარგებისათვის საჭირო საწარმოო მოწყობილობის ორგანიზაცია, როგორც თამბაქოს საშრობი და შესანახი საწყობების საკონსერვო ქარხნებისა, ხილის საშრობი და გადასამუშავებელი წამოწყებებისა, ღვინის სარდაფებისა და სხვა.

2) მიწოდება სასოფლო-მეურნეობის ყოველგვარი დარგებისათვის სოფლის მეურნეობაში სახმარი მანქანა-იარაღებისა, მავნებლებთან საბრძოლველი საწამლო მასალისა, თესლეულობისა, სანაშენო მასალისა, ჯიშიანი საქონლის და ფრინველისა და სხვ.

3) განვითარება და ფართოდ მოწყობა სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გასაღებისა თამბაქოსი, მატყლისა, ბამბის, ხილის, ბოსტნეულის, ღვინის, ყველის, ლორის, ხორცის, კვერცხის, ცოცხალი და დახოცილი ფრინველის, თაფლის და სხვ.

4) საინსტრუქტორო და აგრონომიული დახმარების გაწევა ცალკე რაიონებისათვის.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გასატარებლად 1924 წლისათვის შემუშავებულია დაწვრილებითი საოპერაციო და ტეხნიკური გეგმა, რომლის საერთო ჯამი 14.841.891 მანეთს შეადგენს. ეს ჯამი ცალკე ოპერაციების შორის შემდეგნაირად ნაწილდება:

1. დამზადება და გასაღების ოპერაციებისათვის	7.515.000 მ.
2. სოფლის მეურ მანქანა-იარაღების მიწოდებისათვის	6.111,489 მ.
3. საწარ. წამოწყებებ.	1.215.402 მ.
სულ	14. 841.891 მ.

აღნიშნულ ოპერაციების გასატარებლად და უზრუნველსაყოფად წარმოკავშირს დასჭირდება მოკლე და გრძელვადიანი კრედიტები დაახლოებით 6.451.402 მან. რაოდენობით, მათ შორის საგამსაღებლო ოპერაციებისათვის 4.089.000 მან. 2-8 თვემდე, მომარაგების საქმისათვის 1.250.000 მან. 3-12 თვემდე, და საწარმოო წამოწყებების რომელიც რამოდენიმე წელიწადს, გასტანს, 1.215.402 მან. 1-10 წლამდე.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებათა გატარება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ჩამორჩენილი და ღარიბი სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. ამ ოპერაციების გატარება ერთი ორად და უფრო მეტად გაადიდებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, გააუმჯობესებს ტეხნიკას და მეტ სარგებლობას მოუტანს კოოპერატიულად დაკავშირებულ გლეხობას და საერთოდ ჩვენ მშრომელ ხალხს.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 178

საბჭოთა სასამართლო

კაპასი დედაკაცი

ბელინსკის და ოლღას ქუჩების კუთხეში ერთი ახალგაზრდა ქალი, გვარათ კოვალიოვა პატარა დუქანში ვაჭრობს პაპიროსით და წყლით. ამავე დუქნის ეზოში, სადაც მას ბინა ჰქონია, სცხოვრობს 70 წლის მოხუცი ბადრიძის ოჯახი. ამ ოჯახს მოსვენებას არ აძლევდა ქალბატონ კოვალიოვას გასართობი—ძაღლები. ვაჭრობის გათავების შემდეგ კოვალიოვა დაუძახებდა თავის ლეკვებს და დაუწყებდა მათ ბანას მეზობლათ მცხოვრებ ბადრიძეების ცხვირის წინ. როდესაც უკანასკნელნი საუზმობდენ საერთო აივანზე. ასეთი მოვლენა ხშირი იყო. ხშირი იყო აგრეთვე უსიამოვნებაც მეზობლებს შორის. ბადრიძეები ლეკვს ფეხს წაჰკრავდენ, კოვალიოვა გაანჩხლდებოდა და ატყდებოდა ერთი დავიდარაბა. ერთხელ ასეთი შემთხვევა დრამატიულად დამთავრდა: კოვალიოვის ქალმა საყვარელი ლეკვის შეურაცხყოფისათვის სცემა მოხუც ბადრიძეს. მოხუცის ახლობლებმა საჩივარი აღძრეს სახალხო სასამართლოში, რომელმაც, გაარჩია რა საქმე, მიუსაჯა კაპას დედაკაცს დაპატიმრება ორი კვირით.

შრომის სასამართლო

კანონიერი „ძალმომრეობა"

ერთ პედაგოგიურ დაწესებულებას (თვალსაჩინო სწავლის სახელმძღვანელოთა ინსტიტუტს) თავის საწყობში უნდა დაელაგებინა რკინის-გზის სადგურიდან მიღებული რამოდენიმე ვაგონი ხე-ტყის მასალა. ეს მუშაობა ეკისრეს სატრანსპორტო მუშათა კავშირის წევრებმა, რომლებმაც გასამრჯელოთ მოითხოვეს პროფკავშირის მიერ დაწესებული ხელფასი. ინსტიტუტის სამეურნეო ნაწილის გამგეს ხელფასი გადამეტებულათ მოეჩვენა, უარყო მუშების წინადადება და სამუშაოზე დააყენა რამოდენიმე აისორი მუშ. უკანასკნელნი არ იყვნენ პროფკავშირის წევრები და დასჯერდენ უფრო იაფ ფასს. გაიგეს რა ეს, კავშირის წევრმა მუშებმა გარეკეს მათ მაგიერ მოწვეული მუშები და რაიმე განკარგულების გარეშე შეუდგენ მუშაობას: გადაზიდეს და ჩააწყვეს მასალა საწყობებში, ინსტიტუტს კი წარუდგინეს ანგარიში პროფკავშირის ტარიფის მიხედვით. როდესაც ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ფულის მიცემაზე, მუშებმა საჩივარი შეიტანეს შრომის სასამართლოში და... საქმე მოიგეს, რადგან სასამართლომ სამართლიანათ სცნო კანონიერ ხელფასის მოთხოვნა რიგიანათ შესრულებულ მუშაობისათვის.

„ძმობა"-ს მუშა-მოსამსახურეები.

ღვინის სავაჭრო ფირმა „ძმობა" გაკოტრდა და მისი დირექტორ-განმკარგულებელი გაექცა მევალეთა ლაშქარს და სასამართლოს. უჯამაგიროთ და უადგილოთ დარჩენილ მუშა-მოსამსახურეებს შეტანილი აქვთ შრომის სასამართლოში რამოდენიმე საჩივარი მათი დაკმაყოფილების შესახებ. სარჩელის თანხა დაახლოებით შეადგენს 1200 მანეთს. სარჩელის დასაკმაყოფილებლათ შრომის სასამართლომ მოპასუხის დაუსწრებლათ (იგი გამოწვეული იყო რამოდენიმეჯერ, დაადგინა ყადაღა დაადოს ფირმის უძრავსა და მოძრავ ქონებას, რომლიდანაც უნდა დაკმაყოფილდეს მომჩივნების სარჩელი.

ქრონიკა

— **ტელეფონი მოსკოვ-თბილისს შორის.** ა|კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს განზრახვა აქვს უახლოეს მომავალში მოაწყოს ტელეფონი თბილისს-მოსკოვს შორის. ტელეფონის ქსელში შევა ქ. ბაქოც.

— **ახალი ქუჩები ნაძალადევში.** ქ. აღმასკომი უკვე შეუდგა ნაძალადევში ახალი ქუჩების გაკეთებას.

— **შარა გზა მანგლის წალკას შორის.** ქ. აღმასკომმა მანგლის-წალკას შორის შარა გზის გასაკეთებლად გადასდო 17,000 მან.

— **ხელოვნური ხელ-ფეხი ინვალიდებისათვის.** ა|კ. სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ მუშავდება გეგმა ინვალიდებისთვის ხელოვნურ ხელ-ფეხის გაცემის შესახებ. განზრახულია ამ მიზნით სახელოსნოების გაფართოება.

— **კურორტებზე გასაგზავნათ.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა მიიღოს ზომები, რათა კურორტებზე გადასაგზავნ დაზღვეულ ავადმყოფებს რკინის გზაზე დაუბრკოლებლად მიეცეთ ბილეთები.

— **მუშა-მოსამსახურეთა სამკურნალოდ.** სოც. დაზღვევის სამმართველომ შესაძლოდ სცნო სანატორიებში სამკურნალოდ გაგზავნილი მუშა-მოსამსახურეთა ვადა დააწესოს თვე ნახევარი. ექიმების შემოწმებით შეიძლება ვადის გაგრძელება.

— **გლეხთა სახლი კოჯორში.** კოჯორში გაიხსნა გლეხთა სახლი, სახლში მოეწყო წიგნთ-საცავი სამკითხველო, კლუბი, გლეხკომის კანცელარია და სხვა.

— **წითელი სასადილოები.** მთ. მუშათა კოოპერატივის გამგეობას ამჟამად ტფილისში მოწყობილი აქვს ორი წითელი სასადილო. უახლოეს ხანში როგორც ტფილისში, ისე მაზრებში კიდევ გახსნილი იქნება წითელი სასადილოები.

— **კოოპერაციის გამომცემლობა.** ა.-კ. რესპუბლიკათა კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობამ დაადგინა გადასცეს ეროვნულ კოოპერატივებს ათას-ათასი მანეთი კოოპერატიულ გამომცემლობისთვის.

— **სკოლა წერა-კითხვის უცოდინართათვის.** 5 აგვისტოს რკ. გზის სახელოსნოსთან გაიხსნა სკოლა წერა-კითხვის უცოდინართათვის.

— **წითელ-ჯვრის საზოგადოებების საკავშირო ყრილობა.** უახლოეს მომავალში მოსკოვში მოწვეული იქნება წითელი ჯვრის საზოგადოებების საკავშირო ყრილობა.

— **ამხ. შაუმიანის სახელობის ბაღი.** ქ. აღმასკომმა დაადგინა: კახეთის მოედანზე არსებული ბაღს, სადაც სდგას ამხ. შაუმიანის ძეგლი, დაარქვას ამხ. შაუმიანის სახელობის ბაღი, მხოლოდ ამხ. შაუმიანის ბაღს (ჩერქეზოვის ქ.) დაარქვას ამხ. აფარიძეს სახელი.

— **თამბაქოს დამზადება.** წარმოკავშირმა სიღნაღის მაზრაში დაამზადა 12.000 ფ. თამბაქო.

— **მერძეობა.** მერძეობის განვითარების მიზნით ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასცა სესხათ 50,000 მან.

— **სპეც-ტანისამოსი.** უახლოეს მომავალში გამომუშავებულ იქნება ახალი წესი სპეც-ტანისამოსის დასარიგებლად წარმოებებში, სოც. დაზღვევის სამმართველო იმუშავებს საამისოდ გეგმას.

შემთხვევები

— **ქალის გვამის პოვნა.** 6 აგვისტოს ორთაჭალის ახლო მტკვრის პირას იპოვეს ქალის გვამი. გვამი გადაიგზავნა რესპუბ. საავადმყოფოში.

— **მტკვარში დახრჩობა.** 6 აგვისტოს თადეოს მირზოევი ბანაობის დროს მტკვარში დაიხრჩო. გვამი ჯერ არ არის ნაპოვნი.

— **ქალის გატაცება.** 20 ივლისს ერწოს რაიონში უცნობმა პირებმა გაიტაცეს ოლღა ფანცხალაშვილი. ქალის გამტაცებელნი ადგილობრივ მილიციის მიერ დაჭერილნი არიან.

— **ბანდიტის დაჭერა.** ერწოს რაიონის მილიციამ შეიპყრო ბანდიტი იოსებ ჩოხელი სოფ. ჩილაანთ კარის მცხოვრები.

— **ბინების გაქურდვა.** 6 აგვისტოს (სოლომონოვის ქ. № 3) გასაღების შერჩევის საშუალებით გაქურდეს სარქის ხანგოიანის ბინა. წაღებულია ძვირფასი ნივთები.

— 5 აგვისტოს (ბარატიანის ქუჩაზე) გაქურდეს მიკირტიჩ ნაზარიანცის ბინა, წაღებულია საოჯახო ნივთები.

ხელოვნება

ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება. ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების ორკესტრმა დაამთავრა მოგზაურობა კახეთში და ამ დღეებში მიემგზავრება ქართლსა და დასავლეთ საქართველოსკენ კონცერტების მოსაწყობად.

— **რესპუბლიკის სახ. არტისტის დავიდოვის გასტროლი.** რესპუბლიკის სახალხო არტისტის დავიდოვის გასტროლი დაიწყება 12 აგვისტოს სახელმწ. საოპერო თეატრში.

— **თვითშრომელთა კლუბში.** დღეს თვითშრომელთა კლუბში ავადმყოფ მსახიობის შ. საფაროვის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა „სურამის ციხე".

— **ა. მაშაშვილის წიგნი.** იბეჭდება და გამოდის ამ მოკლე ხანში პროლეტარულ პოეტის ა. მაშაშვილის ლექსთა კრებულის პირველი წიგნი „მერეხი". საქ. კომპარტიის ცეკას გამოცემა.

პროვინციიდან

მევენახეთა და მეღვინეთა ამხანაგობა [illegible]

სვირის რაიონში უმთავრესად გავრცელებულია მევენახეობა. გლეხები ღვინის გასაღების საქმეში მეღვინე ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყვნენ ჩავარდნილი, რომლებიც ღვინოს მუქთად ყიდულობდენ და როდესაც მოისურვებდენ, მაშინ უსწორებდენ ანგარიშს მეღვინე გლეხს.

ასეთი ვაჭრების და მათი აგენტების თავხედობისათვის დიდი ხანია, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდოდათ ბოლო მოეღოთ. 1923 წ. დეკემბერში შესდგა აქაურ მეღვინე გლეხთა კრება, რომელმაც გამოიმუშავა წესდება მეღვინეთა ამხანაგობა „სვირი"-ს.

ამხანაგობის წესდება დამტკიცებულ იქნა კოოპერატიული კოლეგიის მიერ, რის შემდეგაც ამხანაგობა შეუდგა მუშაობას.

ამხანაგობამ შეიძინა დიდძალი ინვენტარი წარმოკავშირის საშუალებით. ამხანაგობამ აუწია ფასი ღვინოზე და არაყზე, რითაც მოუსპო კერძო ვაჭრებს საშუალება [illegible] ფასებში ღვინის და არაყის შეძენისა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ამხანაგობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა წევრებს და საერთოდ მთელ გლეხობას. ამხანაგობას მიზნათ აქვს ააგოს სადგ. სვირში საკუთარი ღვინის სარდაფები, მოაწყოს შემოდგომისთვის ყურძნის საწურავი, გამართოს საცდელი მინდვრები და სხვა. ამხანაგობაში დღეს-დღეობით ითვლება 100 მეტი წევრი. წევრობის მსურველი ბევრია, მაგრამ საპაის უქონლობის გამო შეჩერებულნი არიან, მომავალ შემოდგომისათვის კი ყველა სურვილს გამოსთქვამს საპაის შემოტანისას ღვინით ან ყურძნით. ამხანაგობის წევრები და საერთოდ მთელი გლეხობა დიდ იმედებს ამყარებენ ალექსანდრე კაპანაძეზე, რომლის მეთაურობით დაიწყო ეს საქმე და რომელსაც აქვს დიდი კოოპერატიული გამოცდილება.

სვირელი.

შორაპნის მაზრის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები

შორაპნის მაზრის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები გაიხსნა ქ. ზესტაფონში 11 ივლისს გ. მელიქიძის ხელმძღვანელობით.

კურსების გახსნას დაესწრენ მოწვეულ მსმენელთა გარდა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელნი და გარეშე საზოგადოებაც.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მსოფლიო მუშათა კლასის დაკარგული ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას.

მსმენელთა მიერ გაეგზავნა დეპეშები ს. კ. პ. ცეკას, განათლების კომისარიატს, განათლების მუშაკთა კავშირს და შორაპნის სამაზრო აღმასკომს შემდეგი შინაარსით: „შორაპნის მაზრის განათლების მუშაკთა გადასამზადებელი კურსების მსმენელნი გულწრფელ სალამს გიძღვნით იმ დაუღალავ ღვაწლისა და შრომისათვის, რომელიც თქვენ გასწიეთ განათლების მუშაკთა გადასამზადებლად, სწავლა-აღზრდის საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის, რისთვისაც მზადა ვართ ყოველ წუთში მედგრათ ვიდგეთ ჩვენს სადარაჯოზე საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ და განსამტკიცებლად".

ამ კურსებზე მოწვეულია 100 მსმენელი, მათ შორის დიდი უმრავლესობა ოთხწლიან სკოლის მასწავლებელია. ამათ გარდა კურსებს თავისუფალი მსმენელებიც ესწრებიან.

წლევანდელი კურსები არსებითად განსხვავდება მასწავლებელთა გადასამზადებელ შარშანდელ კურსებიდან შარშან მეცადინეობა სწარმოებდა ლექციური სისტემით, წელს კი უმთავრესი ადგილი პრაქტიკულ ვარჯიშობას აქვს დათმობილი.

მსმენელები დაყოფილი არიან ოთხ ჯგუფათ, თითო ჯგუფში 25 კაცი ითვლება.

იმართება მეტად საინტერესო საქმიანი ექსკურსიები, რომელთა მიზანია გააცნოს კურსანტები ამა თუ იმ სოფელს, კომპლექსიური მეთოდით შეისწავლოს მისი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.

ასეთი ექსკურსიები მოეწყო სოფ. ცხრა-წყაროში, ს. საქარაში, ს. არგვეთში და ს. კვალითში, აგრეთვე დათვალიერებულ იქნა შორაპნის ციხის ნანგრევებიც. ჯგუფი, 25 კაცისაგან შემდგარი, კიდევ დაყოფილია რამდენიმე ქვე-ჯგუფებათ. ექსკურსანტების მუშაობა კოლექტიურად სწარმოებს, ერთნი ეცნობიან ბუნებას ყოველ მხრივ, მეორენი შრომას და სხვ. კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს დილის 7—12 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ლექტორები სცდილობენ გამოიწვიონ მასწავლებელთა შორის თვითმოქმედება, ინიციატივა. მათი დევიზია: მინიმუმი ენერგიის დახარჯვით მაქსიმუმის გაკეთება.

სამაზრო პარტკომმა ამ კურსების პოლიტმეცადინეობის ხელმძღვანელათ გაგზავნა ამხ. დ. მშვენიერაძე.

კურსების ხელმძღვანელად მოწვეულია გ. მელიქიძე, ლექტორებათ ნ. ქეიშვილი, ა. გოგუაძე, ა. ჭურაძე და სხვები. ლექტორები პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას და მათი მუშაობა ნაყოფიერ შედეგებს მოგვცემს.

ვიოლეტა.

ნუ დააყოვნებთ

(„ეპო"-ს საყურადღებოდ)

წელს სამეგრელოს მშრომელმა მასამ ხალისიანად მოჰკიდა ხელი მეაბრეშუმეობას. მეურნეობის ამ დარგით გლეხობა არასოდეს ყოფილა ისე დაინტერესებული, როგორც წელს.

რაკი ხელისუფლებამ თესლი დაარიგა, გლეხობა უკვე დარწმუნდა, რომ პარკს გასავალი ექნებოდა, ამ აზრს გასული წლის მაგალითიც უმტკიცებდა. ამიტომ დიდმა და პატარამ, ქალმა და ვაჟმა ყველამ ხელი მოკიდა აბრეშუმის ჭიის მოვლას.

წინეთ მხოლოდ ქალები მისდევდნენ მეურნეობის ამ დარგს, მამაკაცები მიწის მუშაობას ეტანებოდნენ.

წელს ხანგრძლივმა გვალვამაც ხელი შეუწყო მამაკაცებსაც მიეღოთ მონაწილეობა ამ საქმეში. სოფლის მცხოვრებთა 99 პროცენტი უკვე აშენებდა აბრეშუმის ჭიას. ხშირათ ერთ ოჯახში ორი-სამი კოლოფის ჭია იკვებებოდა. ქალები კოლექტიურ მუშაობას ეწეოდნენ. გამოკვების მიწურულში აბრეშუმის ჭია საგრძნობლად დაზარალდა. ზოგან სრულებით განადგურდა. საერთოდ მოსავალი საშუალო იყო.

პარკი უკვე ჩაიბარა კოოპერატივმა. პატრონს მიეცა კვიტანცია. უკვე მეორე თვე გადის მას შემდეგ. ფულის დარიგების შესახებ არაფერი ისმის. შიშველ-ტიტველი გლეხი თავისი ჯალაბობით ჭიშკრისკენ გაიყურება, ელის როდის დაურიგებენ ფულს.

უნდა ითქვას, რომ სოფელი ნივთიერად ცუდ პირობებშია. სოფლად ფული არ არის. ოთხფეხა პირუტყვებს ბაზარი არა აქვთ. ერთად ერთი იმედი პარკის ფულია საჭიროა ეპომ დააჩქაროს ფულის დარიგება.

გლეხკორი ხ—რ ი.

პროვინციის ქრონიკა

— **წყალსადენი წაღვერში.** დასასვენებელ სახლების სამმართველომ დაავალა ინჟინერ დიასამიძეს გაიყვანოს წაღვერის დასასვენებელ სახლებში წყალსადენი.

— **სესხი გლეხებს.** სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით ახალგორის რაიონის მცხოვრებთ სესხათ დაურიგდათ ხორბალი.

— **საკერამიკო სკოლა ძირულაში.** ძირულაში გაიხსნა საკერამიკო (ჭურჭლეულობის) სკოლა.

— **საგლეხო სესხი სოფლად.** საგლეხო მომგებიან სესხის ჩატარება ბორჩალოს მაზრაში შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს, თითქმის 8.000 მან. ობლიგაციები განაღდებულია.

— **მოსავლის შემოწმება ოსეთში.** სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა შეამოწმოს მოსავლის მდგომარეობა მთელ სამხრეთ-ოსეთში (ჯავის ხეობა).

წერილი რედაქციის მიმართ

კომუნისტის რედაქციას ვსთხოვ მოათავსოს:

ჟურნალ „მნათობის" მე-4-ე ნომერში მოთავსებულია ჩემი წერილი:—„ეს პასუხი არ არის" ნ. ჟორდანიას წერილის საპასუხოთ. „მნათობის" ფურცლებზე ჩემ წერილში შეპარულა იმდენი კორექტურული შეცდომა, რომ ალაგ-ალაგ აზრიც არის დამახინჯებული.

მეორე თავში ზოგიერთი აბზაცი გამეორებულია რამოდენჯერმე და მთელი ეს თავი ამიტომ უაზრობათაა გადაქცეული.

მესამე თავში, 270 გვერდზე, დაბეჭდილია:

„საიდან და როგორ გავედით ჩვენ აღორძინებისაკენ".

უნდა იყოს:

„საიდან და როგორ გავალთ..."

მეხუთე თავში, 294 გვერდზე, დაბეჭდილია:

„ის (ნ. ჟორდანია) ვერ ასაბუთებს იმ აზრს, რომ საბჭოთა ძალა-უფლების დამყარება საქართველოში დემოკრატიას გააბატონებს..."

უნდა იყოს:

„...საბჭოთა ძალა-უფლების დამარცხება..."

მეექვსე თავში, 295 გვერდზე, დაბეჭდილია:

„ის (მეორე ინტერნაციონალი, უძლური და უმწეო გამოდგა სოციალურ-პოლიტიკურ დახმარებაშიაც".

უნდა იყოს:

„...მორალურ პოლიტიკურ დახმარებაშიაც."

იმავე თავში ბოლოს:

„ავთანდილმა მოისმინა ამბის გმობა ფატმანისგან".

უნდა იყოს:

„ამბის მბობა".

კორექტურას, ამისთანა შეცდომების გარდა, აქა-იქ გამორჩენია სიტყვები, პატარ-პატარა წინადადებები, ამიტომ შიგა და შიგ კავშირი არ არის დაცული.

ხ. ლევდარიანი.

მანგლისი, 29 ივლისი, 1924 წ.

მუშათა ცხოვრება

ჩვენს ქარხანაში.

ს. მ. ფ. ს. ლითონის განყოფილების ერთ-ერთ ქარხანაში მუშაობს რუსეთიდან ჩამოსული 17 მექვაბე,—ყველა მაღალი კვალიფიკაციის არიან. ამჟამად ესენი მუშაობენ ანძების დამზადებაში. ამას წინათ შემთხვევა მქონდა მესაუბრა ერთ-ერთ მექვაბესთან სახელდობრ ამხ. ბოჩკარიოვთან. ჩემს შეკითხვაზე თუ როგორ მოსწონს ჩვენი ქარხანა? მან მიპასუხა: „რა უნდა გითხრა, ამხანაგო! მე თვითონ ჩამოსული ვარ ქალ. ცარიცინიდან, მე ვმუშაობდი საქვაბო საამქროში 12 წელიწადი მექვაბედ „წითელი ოქტომბრის" სახელობის ქარხანაში, ამ ჟამად იქ მუშაობს ერთ ქარხანაში 4.000 მუშა, ქარხანა დიდია; კარგათ არის მოწყობილი და დაყენებული წარმოება, სდგას დიდი ძალის მანქანები და დაზგები, ბლომად არის საამქროეები, მასალა დიდძალი მოგვეპოვებოდა, შეკვეთებით უზრუნველყოფილი ვიყავით, გვეძლეოდა სპეც-ტანისამოსი, სპეც-საპონი, ფეხსაცმელი, ჯამაგირს ვღებულობდით თავის დროზე უკლებლივ 5 და 22 რიცხვში, ქარხანასთან მოწყობილი იყო კლუბი, სადაც სისტემატიურად ჩვენი ძალებით ვმართავდით წარმოდგენებს, საღამოებს და კონცერტებს, ჩვენ გვქონდა ჩვენი სამხედრო მუსიკა, ყოველივე ჩვენგანი იწერდა ადგილობრივ მუშურ გაზეთს და ჟურნალებს. თქვენთან აქ პატარა ქარხანაა, არ არის საკმაო რიცხვი კარგი დაზგებისა, დიდი წარმოებისათვის გასაქანი არ არის. კულტურული მუშაობა აქ თქვენთან კარგად არის დაყენებული, მაგრამ ღარიბები ხართ ფულით, აი გამოიწერეთ სამხედრო საკრავების ინსტრუმენტები და მე მოგიწყობთ მუსიკალურ გუნდს. თბილისი კარგს შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, ეტყობა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობს მის აყვავება—გაძლიერებაში"-ო.

მუშკორი **მელითონე.**

სურამის საბავშვო აგარაკებზე

მე მინდა აღვნიშნო ნაკლი ამ აგარაკების ტეხნიკური მხარეებისა, რომლებიც დიდად აბრკოლებს საქმეს. ეს გახლავთ: 1) ნაკლებულობა კოვზების, რის გამო ბევრი ბავშვი უკოვზოდ სჭამს სადილს; 2) არ აქვთ პირსაბანები ბავშვებისათვის, რითაც ძლიერ წვალობენ მასწავლებლები ბავშვების პირის დაბანის დროს; 3) არ აქვთ მასწავლებლებს წინსაფრები, რომელიც აუცილებლად საჭიროა მათთვის, როდესაც ისინი ბავშვებს დაბანენ.

ამასთან მასწავლებლებს არ აქვთ [illegible] სადგომი ბინა და კერძო ბინებში ცხოვრობენ, რაიც დიდ დანაკლისს შეადგენს მათი საქმისათვის. მასწავლებლები მცირე ხელფასს ღებულობს და ისიც კერძო ბინას უნდა მისცეს.

ამას გარდა აქ არ არის მოწყობილი საექიმო დახმარება, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს 120 მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

ყოველივე ამას უნდა მიაქციოს ყურადღება სახალხო განათლების კომისარიატმა და საჩქაროდ მოაგვაროს ზემოთ ჩამოთვლილი დეფექტები.

მუშკორი **პ. სპირდონიძე.**

მოგვეცით სინათლე

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

სოლოლაკში დღეს რამოდენიმე მუშათა სახლებია. ამ უბანში არის ერთი ადგილი, სადაც საღამოობით მუშების ცოლ-შვილს უხდებათ, ასე ვთქვათ, სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა ბოტანიკურ ბაღის შესასვლელ გვირაბთან, სადაც გამოდის წყარო. ეს წყარო, თავისი სისუფთავით და სიცივით ძლიერ მიმზიდველია. ჩვენ რაიონში, როცა ეზოებში რაიმე მიზეზის გამო წყალი არ მოდის, მაშინ ხომ ამ წყაროს ბევრი მუშტარი ჰყავს და ბევრი აყალ-მაყალიც კი ხდება რიგის დასაკავებლად.

ამ ჟამად გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება შემდეგ გარემოებას: **აქ არ არის სინათლე.** და ამის გამო ბევრ უსინიდისობას და უპატიოსნებას აქვს ადგილი. ამ რამოდენიმე დღის წინად ერთ მუშათა სახლიდან ამ წყაროზე წავიდა რამოდენიმე ქმარ-შვილიანი ქალები და იქვე ახლოს ჩამოჯდენ. ამ დროს მოდიან და იქვე ახლოს ადგილს იჭერენ „წყვილები"—ქალ-ვაჟი და უსირცხვილოდ ჰკოცნიან და ჩქმეტენ ერთმანეთს. სრულებით არ აქცევენ ყურადღებას, თუ მათ გარშემო კიდევ ვინმე არის. ასეთი „წყვილები" აქ ბევრია. ამავე სიბნელის გამო ბევრ ლანძღვა-გინებას აქვს ადგილი.

დიდათ დაგვავალებდა აღმასკომი, თუ აქ სინათლეს გამოიყვანდა.

მუშკორ. ლადო.

გამოგზავნილი წერილებიდან

ეს კავშირი უნდა გაიწმინდოს.

(თვითმშრომელთა კავშირის საყურადღებოდ).

თავის თავად ცხადია, რომ თვითმშრომელთა კავშირში უნდა ჩაეწეროს მხოლოდ ის, ვინც თავის მარჯვენით და ოფლით ჰკვებავს თავის თავს და ოჯახს, და არა ის, რომელიც სხვის შრომით სარგებლობს. რა უნდა ვაჭარ კორონას ამ კავშირში, რომელსაც აქვს საკანდიტრო ლორის-მელიქოვის ქუჩ. № 6, აქვს ბუფეტები აბასთუმანში და კოჯორში, საიდანაც დიდი შემოსავალი აქვს. ეს ვაჟბატონი (კორონა) ამუშავებს დღე და ღამე თავის საკანდიტროს სამზარეულში 16—17 წლის ბიჭს და ჯერაც ყურადღება არავის მიუქცევია ამ გარემოებისათვის. ამგვარ „კორონებს" კავშირში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

გ.—იგი.

ლოთი ქალები

ლენინის უბანში, ხუდადოვის ქ. № 37 სცხოვრობენ მუშები, რომლებსაც არ აქვთ მოსვენება ორი საზიზღარ ქცევის ქალისაგან. ესენი არიან სალმატინა და კარპუსენალა ნადეჟდა. მათ დაკარგული აქვთ სირცხვილი, დამთვრალები ღვინის სმით ლანძღავენ ერთმანეთს უსუფთაო სიტყვებით, ხშირად ჩხუბსაც აქვს ადგილი. მუშები ამგვარ ქალების ქცევისაგან აღელვებულნი არიან და მოითხოვენ ამ ორ ქალის გადასახლებას.

მუშა **ლ. ქოიავა.**

განა ჩვენ სპეცტანისამოსი არ გვეკუთვნის?

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ჩვენ, თბილისის ტრამვაის სადურგლო ცეხის მუშებს, სპეცტანისამოსს არ გვაძლევენ. სხვა ცეხებს კი დავიწყებულიც აქვთ, როდის მიიღეს ასეთები. ადგილკომის და დირექტორის დაპირებებით დაღალულნი, გამოვედით მოთმინებიდან და ვსთხოვთ აღმასკომს მოგვაქციოს ყურადღება. განა ჩვენ კეთილსინდისიერად არ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას? განა ჩვენ სპეცები არ ვართ? მეტი წილი ვაგონების შეკეთებას მოითხოვს. ვაგონების რემონტი დამპალ ფიცრების საშუალებით არც ისეთი პატარა საქმეა. ჩვენ ვაკეთებთ დიდ საქმეს და გვეკუთვნის შრომის ყოველგვარი ჯილდო. აღმასკომო, მიზეზი მაინც შეგვატყობინეთ ამ უსამართლობისა.

მუშა ქუ—ძე.

ვიბრძვით მსოფლიო რევოლიუციისთვის

1914 წელში ზაფხულის სიცხეში მთელი ბურჟუაზია გასულიყო საგარაკოდ მაშინ, როცა დაღალული მუშა და გლეხი ხელში ჩაქუჩით და ნამგლით ოფლსა ღვრიდნენ, ებრძოდნენ ლითონსა და ბუნებას; სწორედ ამ დროს ჰაერი გაიჟღინთა კაპიტალისტების ღალატით, რომლებიც მუშათა კლასს უმზადებდნენ საყასბოს, მართლაც გაჩაღდა ომი და მრავალი მუშა, გლეხი გახდა ამ ჟლეტის მსხვერპლი.

სამი წლის შემდეგ ეს ომი დასრულდა და ბურჟუაზია მაინც არ ისვენებს, მას კიდევ სწყურია ჩვენი სისხლი. ჩვენ ჯერ არ დაგვავიწყდა ის საშინელი ომის მსხვერპლები, რომლების გვამები ჯერ არ გაციებულან. მაგრამ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ბოლო მოუღო ჩვენი ბურჟუაზიის გაუმაძღრობას, მუშათა კლასი დაეპატრონა ჩვენში მიწა-წყალს, ფაბრიკა-ქარხნებს; მუშა განაგებს სახელმწიფო საქმეებს. მას ეკუთვნის აგარაკები და სწავლა-განათლება. ყველა ეს მოგვცა ჩვენმა რევოლიუციამ.

ვ. ბალიაშვილი.

პასუხად მუშკორ გაგიევს

(იხ. „კომუნისტი" № 169).

ამით ვადასტურებ, რომ თანახმად ჩემ მიერ ნაწარმოებ კვლევა-ძიებისა შესახებ ა | კ. ფინსახკომის საქ. რწმუნებულის სამმართველოში ორი თანამშრომლების გეგეჭკორის და დოლიძისა, **გეგეჭკორი უკანონოდ არის მიღებული, რის შესახებაც მიღებულია სათანადო ზომები,** რაც შეეხება შ. დოლიძეს, **ის მიღებულია კანონიერად შრომის ბირჟიდან,** შრ. კანონთა კოდექსის სავსებით დაცვით.

შრ. ინსტრუქტორი **ულენტი.**

მუშების წერილები მიზანს აღწევენ.

პასუხად წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტში" ა | წ. 10—7 131 ნომერში ჩერქეზიშვილის ქ. სახლი № 23 შესახებ, უძრავ ქონებათა სამმართველომ მომართვით ა | წ. 21—7 № 5980 გვაცნობა, რომ გაცემულია სათანადო განკარგულება, რათა ხსენებული სახლი დათვალიერებულ იქნას ადგილობრივად სატეხნიკო-საკანტროლო კომისიის მიერ შესაფერი აქტის შესადგენად და საქმისთვის შემდეგი მსვლელობის მისაცემად.

ინფ. გრ. გაბილაია.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(მუშა პოლიკარპე გიორგაძეს).

მე ვმსახურობ თბილისის სადგურის „ცენტროტრამოტაში". შრომის ხელფასს ვიღებ თვიურად 27 მან. ვსცხოვრობ მეთერთმეტე სამილ. უბანში, პარკოვის ქ. № 30. მიქირავს ერთი ოთახი ზომით 45 კვ. არშ. პირველ სართულში.

სხვა რამით არ ვსარგებლობ, გარდა საერთო ფეხის-ადგილისა. გთხოვთ გვამცნოთ, რამდენს გადავიხდი ოთახის ქირას საერთო წესით და სად შევიტანოთ ეს ფული, თუ სახლის პატრონი არ ღებულობს მას.

პ ა ს უ ხ ი.

თითოეულ **კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით** ნახევარ კაპეიკს—სულ მთელ ბინას **ოცდახამი** კაპ.

თუ კი სახლის პატრონი ბინის ქირას არ იღებს ასეთ რაოდენობით, მაშინ დასწერეთ სათანადო განცხადება თბილისის სახელ. ხაზინის სახელობაზე და ბინის ქირა შეიტანეთ ხაზინაში, დეპოზიტში.

თბილ. დეპოს მემანქანეს ამხ. შალვა ოდილავაძეს.

ვცხოვრობ ხუდადოვის ქუჩაზე № 30; განაპირა უბანში. მიქირავს ერთი ოთახი, სივრცით **ოცდათექვსმეტი კვადრატიული** არშინი, პატარა კუხნით. სახლის პატრონი ლუკა თოდაძე მთხოვდა 5 მანეთს თვეში, რის გადახდა ჩემთვის შეუძლებელი იყო, თვიურად შრომის ხელფასს ვიღებ მ 11 ხარისხით, 44 მანეთს და 7 კაპეიკს.

გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენი ეკუთვნის ჩემგნით სახლის პატრონს ოთახის ქირა და აქვს თუ არა იმას უფლება გაუტეხოს თავი მდგმურს, ემუქროს სიკვდილით და ოთახს ახადოს სახურავი.

პ ა ს უ ხ ი:

თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით **ერთი კაპეიკის ცხრა მეათედს** (9 | 10 კაპ.) **სულ მთელ ბინისას კი ექვს შაურ და ორ კაპეიკს** (32 კაპ.).

რაც შეეხება „თავის გატეხა", „დამუქრებას" და ოთახისთვის სახურავის ახდას—ყველა ესე მოქმედებანი სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულობას წარმოადგენს, ამიტომ აღკვეთილ უნდა იქნენ სისხლის სამართ. კან. კოდექსის ძალით სასამართლოს და ადმინისტრატიული წესით.

შეიტანეთ საჩივარი მილიციაში და სახ. სასამართლოში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 30.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

იმ აქტების დამტკიცების წესის შესახებ, რაც უკვე ქმნილია უმცროს სახალხო ნოტარიუსთან, ხოლო არ დამტკიცებულა სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სამოქმედოდ შემოღების დღემდე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აქტები შენობის ან აღნაგობის უფლების გასხვისებისა და დაგირავებისა, რაც ქმნილია უმცროს სახალხო ნოტარიუსთან, მაგრამ არ არის დამტკიცებული უფროსი სახალხო ნოტარიუსის მიერ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სამოქმედოდ შემოღების დღემდე, დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო ოლქის სასამართლოს სანოტარიატო თანაგანყოფილების გამგის მიერ იმ წესით, რა წესიც არსებობდა აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებამდე, ხოლო გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ნოტარიატის დებულებისამებრ, უკეთუ ეს გამოსაღები სრულიად გადახდევინებულ არ იყო სანოტარო კონტორაში.

2. უკეთუ ამ აქტების დამტკიცებით დაინტერესებული მხარეები ოთხი თვის განმავლობაში დღიდან სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სამოქმედოდ შემოღებისა, არ იზრუნებენ დამტკიცებაზე, არ წარადგენენ საჭირო გამოსაღებს და საერთოდ, არ აიცილებენ ამა თუ იმ კანონიერ დაბრკოლებას, საქმეები მოისპობა, თანაც უმცროს სახალხო ნოტარიუსთან ქმნილი აქტები გაბათილებული იქნება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი თ. კეჟაღმაძე.

1924 წ. აგვისტოს 6.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თფილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა უმუშევარ ამხანაგებს, რომლებიც იმყოფებიან თბილისის კომიტეტის აღრიცხვაზე, გამოცხადდენ ხელახალ რეგისტრაციაზე 10 აგვისტოს. უკანასკნელი ვადაა 11 აგვისტო.

ხელახალ რეგისტრაციაში გაუტარებელი ამხანაგები მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან.

თფილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება.

განცხადებები

ოტია ნიკოლოზის-ძე და მარიამ მიხეილის ასული შვილებითურთ: თამარათი, ვანოთ, ნიკოლოზით, შალვა და სევერიანე ურუშაძეები და დიმიტრი კონსტანტინეს-ძე გოგოლიშვილი აუწყებენ თავის ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ პირველის ცოლის ძმის, მეორეს—ძმის და დანარჩენთ, ტრაგიკულად გარდაცვლილ, ძვირფასი ბიძის

გიორგი მიხეილის ძე ჩხატარაიშვილის

დასაფლავება მოხდება შაბათს, 9 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე. ცხედარის გამოსვენება კოჩუბეის ქუჩიდან № 11 ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1672 1—1.

თავზარდაცემული მეუღლე ელისაბედ სვიმონის ასული ჩხატარაიშვილისა, უნუგეშო მშობლები მიხეილ და სოფიო ჩხატარაიშვილები, შვილებით: ილარიონ, ლეონიდე და გრიგოლით, უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა აგვისტოს 6-ს მანგლისის გზაზე მომხდარ ავტომობილის კატასტროფის დროს უდროოდ დაიღუპა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეების საამაყო შვილი, და მესამეების დაუვიწყარი ძმა

გიორგი მიხეილის-ძე ჩხატარაიშვილი

მიცვალებულის ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან (კოჩუბეევის ქუჩა № 11) შაბათს, აგვისტოს 9-ს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქ. 1676. 1—1.

სიმონ (საჩინო) ნიკოლოზის-ძე და ოლღა ქრისტეფორის ასული გელოვანები თავის შვილებით ნიკოლოზით, თამარი და მიხეილით აუწყებენ თავის ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი, ტრაგიკულად დაღუპულ სიძის

გიორგი მიხეილის-ძე ჩხატარაიშვილის

დასაფლავება მოხდება შაბათს, 9 აგვისტოს, საღამოს ხუთ საათზე. ცხედრის გამოსვენება კოჩუბეის ქუჩიდან № 11 ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. ქ. 1672. 1—1.

ტრაგიკულად (მანგლისის გზაზე მომხდარ კატასტროფის დროს) გარდაცვლილ

გიორგი მიხეილის-ძე ჩხატარაიშვილის

დასაფლავება მოხდება შაბათს, 9 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს დაღუპულის მეუღლე ელისაბედ სვიმონის ასული ჩხატარაიშვილი-გელოვანი. ქ. 1672. 1—1.

ღრმათ დამწუხრებულნი; მეუღლე—ნინა, შვილები: ქენია, ლუნია, ვანია, მარგალიტა და დანარჩენები, რიცხვით ექვსნი, ძმები: ვასო და ნიკა, და—ოლღა, სიძე—მიხა ეცადაშვილი, ბიძა—კოტე ჩიხლაძე, დეიდეები: 1) ზიზო, 2) ზინო და 3) ტასო ჩიხლაძისანი, მოყვრები ილიკო და სანდრო ღვინიაშვილები და ცოლის და—ოლღა ღვინიაშვილისა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 6 ამა აგვისტოს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ქ. თბილისში, უდროოთ გარდაიცვალა

გიორგი (გოლა) ესტატეს-ძე ვარძელიშვილი

ცხედარი, 8 ამა აგვისტოს, მოესვენება ქ. გორში, სადაც დასაფლავება მოხდება კვირას აგვისტოს. ქ. 1400 1—1.

საჭიროა ინჟინრები და ტეხნიკოსები ჰიდროელექტრონის სადგურების გამოსაკვლევად და პროექტების შესადგენად, და აგრეთვე ტეოლოგიები, ნიველირები, რეიკები, სახაზო იარაღები (გოტოვალნია) პლანიმეტრი და სხვა.

მისამართი: ფერო-მარგანეცის წარმოების მომწყობი კომისია, ს. მ. ფ. ს., პუშკინის ქ. № 3. 1380 2—1

საჭიროა

გამოცდილი [illegible]

მაზრის აღმასკომში სამუშაოდ, პირობები ხელსაყრელია. გაგება შეიძლება სასახლის სასტუმრო ოთახი 71. ნახვა 4—6.

2—1 1671

სავალდებულო დადგენილება № 79

8 აგვისტო, 1924 წ.

ამ სავალდებულო დადგენილების გამოცემისთანავე ძალაში რჩებიან განსაზღვრული ფასები დაწესებული შინავაჭრობის კომისარიატის მიერ მხოლოდ

პურზე, შაქარზე, მარილზე, ნავთზე და წუმწუმზე

ფართლეულზე კი სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის

ხორცით მოვაჭრეებთან ნებაყოფლობითი შეთანხმება ხორცის გაყიდვაზე მათ მიერ დაწესებულ ფასებში, რჩება ძალაში

თბ.. ალმასკ. თავმჯდომარე სუხიშვილი

ფასების მომწ. კომისიის თავმჯდომარეს მოად. ა. რუხაძე

მდივანი მესხი

ნ. 1402—1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით

ბით. თბილისი, ყორგანოვის ქ. № 20. 126—25—24

სახელმწ. უნივერს. მუშფაკის, ტეხნიკუმ. ქართულ მეთაურთა სკოლ. პროგრამით მასწავლი და გავდივარ მოკლე ხანში მათემატიკას:

ალგებრას, ტრიგონომეტრიას და გეომეტრიას

აგრეთვე მთელ კურს არითმეტიკისას

საბუღალტერო კურსებზე შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა № 25. შესავალი ალექსის ქუჩა. 5, ნახვა 8—1 საათ. და 3—7 ს.

2—1 1673

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და პლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

1562 13—13

დავკარგე პირადობის მოწმობა მ. გ. მილიციის მთავარ სამმართველოდან გაცემული, ვლადიმერ გრიგოლის ძე ჩიქოვანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1670 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი და პირადობის მოწმობა ალექსანდრე ბალიაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1675 1—1

მეცხვარეების და მესაქონლეების საზოგადოება

„ბ ი რ ლ ი კ"-ი

ბ ა ლ ა ნ ს ი

1923 წ. 1 დეკემბრისათვის (1922 და 1923 წ.)

ა ქ ტ ი ვ ი.

ანგარიშების სახელწოდება	მან.	კაპ.
1. კასა	5	71
2. საანგარიშო თანხები	34.512	03
3. გამგეობის ძველი შემადგენლობა	47.896	43
4. სხვადასხვა პირები და დაწესებულებები (დებიტორიბი)	64.154	75
5. ავანსი საზოგადოების წევრებს	12.542	68
საქონელი:		
6. 1) საწყობებში	5.748	33
7. 2) გირაოთ	28.842	12
8. 3) საკომისიოთ	7.747	40
9. 4) გზაში	5.424	61
10. მოძრავი ქონება	6.175	68
11. ზარალი 1922 და 1923 წ. წ.	15.098	86
	228,148	60

პ ა ს ი ვ ი.

ანგარიშების სახელწოდება	მან.	კაპ.
1. საწევრო გადასახადები	1.094	73
2. სხვადასხვა პირები და დაწესებულებები(კრედიტორები)	159.276	68
3. სესხი საქონლის გირაოს ქვეშ	39.997	34
4. ა. | კ. ფინსახკომი (სესხი)	20.000	—
5. გარდამავალი თანხები	7.779	85
	228,148	60

საზოგ. „ბირლიკ"-ის კოლეგია:
1. ა. ნარიმანოვი.
2. პ. ფანჩულიძე.
3. ა. იუზბაშევი.

მთავარი ბუხგალტერი ა. დგებუაძე.

ნ. 1398. 1—1

მეცხვარეების და მესაქონლეების საზოგადოება

„ბ ი რ ლ ი კ"-ი

ბალანსი

1924 წლის 1 ივნისისათვის

ა ქ ტ ი ვ ი

ანგარიშების სახელწოდება.	მან.	კაპ.
1. კასა	224	44
2. მიმდინარე ანგარიშები	76	19
3. ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა.	1,020	—
4. საანგარიშო თანხები.	40,725	08
5. გამგეობის ძველი შემადგენლობა.	47,896	43
6. სხვადასხვა პირები და დაწესებულებები (დებიტორები)	281,796	99
7. ავანსები საზოგ. წევრებს	56,909	87
8. გაზაფხულზე განაკრეჭი მატყლი:		
1) საწყობებში. მ. 1,619—49		
2) შესანახად სას.-სამ. ბანკში. „ 36,438—19		
3) გირაოთ. „ 10,721—40	48,779	08
9. საქონელი (საწყობებში)	85,381	45
10. „ საკომისიოთ	7,747	40
11. „ გზაში	5,424	61
12. მოძრავი ქონება	6,666	15
13. განყოფილებანი	50,124	21
14. მასალები	146	50
15. საერთო ხარჯები	10,959	51
16. ხარჯები მოსრულ საოპ. წლებში (1922 და 1923)	5,208	99
17. გადახდილი პროცენტები და კომისია	1,410	57
18. გასაჩერებელი ბინები (ხარჯები)	690	36
19. ზარალი 1922 და 1923 წ. წ.	15,098	86
	666,286	69

პ ა ს ი ვ ი

ანგარიშების სახელწოდება.	მან.	კაპ.
1. საპაიო კაპიტალი	7,625	93 *)
2. სხვადასხვა პირები და დაწესებულებები (კრედიტორ.)	428,151	28
3. გარდამავალი თანხები	9,114	71
4. გაცემული თამასუქები	26,500	—
5. საქონლის გაყიდვა	85,646	34
6. სპეციალური მიმდინარე ანგარიშები	11,001	05
7. სესხი საქონლის გირაოს ქვეშ	32,697	34
8. ა.-კ. ფინსახკომი (სესხი)	20,000	—
9. მიღებული პროცენტები და კომისია	330	64
10. გასაჩერებელი ბინები (ხარჯები).	958	75
11. განაღდებული თამასუქები	4,000	—
12. თანხები გზაში	37,329	27 **)
13. განსხვავება კურსზე	326	94
14. განსხვავება საქონელში (გირაოში)	2,604	44
	666,286	69

---

*) ამაში არ შედის 4,000 მან. რომელიც შეიტანეს საზოგადოების წევრებმა განყოფილებებში

**) მატყლი, რომელიც შემოვიდა იმ განყოფილებებიდან, რომელიც ბალანსის შედგენის დროს კიდევ არ წარმოუდგენიათ ანგარიშები.

საზოგადოება „ბირლიკ"-ის კოლეგია:
1. ა. ნარიმანოვი.
2. პ. ფანჩულიძე.
3. ა. იუზბაშევი

მთავარი ბუხგალტერი ა. დგებუაძე.

ნ. 1399. 1—1.

თ ბ ი ლ ი ს ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ა ნ კ ი

ბალანსი

1924 წ. 1-ლ აგვისტოსათვის

(ჩ ე რ ვ ო ნ ც ე ბ ი თ)

ა ქ ტ ი ვ ი.

ანგარიშების სახელწოდება	ჯამი
კასა და მიმდინარე ანგარიშები	3225,454
ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა.	21853,404
განაღდებული ოპერაციები	46895,033
სესხის ოპერაციები	39368,805
გრძელვადიანი სესხი	9026,196
კორესპონდენტები	17797,433
საკუთარი საქონელი	10155,831
მოძრავი ქონება	7,500
სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	3134,771
საორგანიზაციო ხარჯები	487,222
მიმდინარე ხარჯები	3786,862
გადახდილი პროცენტები და საკომისიო.	814,098
სხვა აქტივები	20075,869
	176628,478

პ ა ს ი ვ ი.

ანგარიშების სახელწოდება	ჯამი
თანხები	30.173,700
ანაბარი და მიმდინარე ანგარიშები	52.265,594
სესხი და სპეციალური მიმდ. ანგარიშები ა) სახელმწიფო ბანკში.	19.259,210
კორესპონდენტები	23.619,794
სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	18.498,195
პროცენტები, კომისია და სხვა მიღებული შემოსავალი	12.484,892
სხვა პასივები	20.327,093
	176628,478

ბ. 1401 1—1

ტირაჟი—13,000

სტამბა „ზარია ვოსტოკის", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.